

# სენეკა

## მედია

ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი  
და განმარტებანი დაურთო  
გვანცა ფოფხაძემ





## ლუციუს ანეუს სენეკა

ფილოსოფოსი, პოეტი, დრამატურგი, სახელმწიფო მოღვაწე, ახალი სტილის დიდოსტატი ლუციუს ანეუს სენეკა, (უმცროსი) (ძვ.წ. 4 - ახ.წ. 65 წწ), მხედართა წრის შეძლებული წარმონადგენლის, სენეკა უფროსის შუათანა ვაჟიშვილი, დაიბადა ესპანეთში, ქალაქ კორდობაში (დღევანდელი კორდობა), მაგრამ აღიზარდა რომში, სადაც ბრწყინვალე ფილოსოფიური და რიტორიკული განათლება მიიღო. ფილოსოფიაში სენეკა აყო სტოიკოაი, თუმცა პითაგორელების მოძღვრების გავლენასაც განიცდიდა და პლატონითა და ეპიკურეთიც იყო დაინტერესებული.

30-იან წლებში სენეკა საადეოკატო საქმიანობას უწეოდა. ამავე პერიოდში მიიღო მან კვესტორის თანამდებობა და გახდა სენატის წევრი. კვესტორის რანგში მისმა ნარმატებულმა გამოსვლებმა იმპერატორ კალიგულას გაღიზიანება გამოიწვია. იგი მზად იყო. მოეკლა სენეკა. მაგრამ შემდგომ გადაწყვეტილება შეცვალა, ვინაიდან დაარწმუნეს, რომ სენეკა მძიმედ იყო ავად და დიდი ხნის სიცოცხლე აღარ

რედაქტორი **იამზე გაგუა**

რეცენზენტი **მანანა ფხაკაძე**

დაკაბადონება და დიზაინი **ალეკო ჯიქურიძის**

ISBN 978-9941-468-50-6

წიგნის კდაზე: *მედლა, მხატვარი ფრედერიკ სენდისი.*

ენერა. სენეკას უსაფრთხოება არც იმპერატორ კლავდიუსის დროს იყო დაცული. იმპერატორის მიუხედავად, მესალისხას, ინტრიგების წყალობით, იგი 41 წელს გადაასახლეს კორსიკაზე. საიდანაც წილობად 49 წელს დაბრუნდა. რომში ჩამოსვლისთანავე მინ პრეტორის თანამდებობა მიიღო იმპერატორის მეორე ცოლის, აგრიპინას, წყალობით რომელმაც სენეკას საცაისი ვაჭრის ვილიას, მომავალი იმპერატორის, ნერონის აღზრდა დაავალა. პრეტორიანელთა პრესექტ აყრანიუს ბურუსთან ერთად სენეკა განკარგავდა იმპერიის ხაშიმით თუ საგარეო პოლიტიკას. იმპერატორის გეთილგანწყობამ მას საშუალება მისცა, უდიდესი ერიება დაეგროვებინა. 59 წელს, აგრიპინას მკვლელობის შემდეგ, სენეკა იმპერატორ ნერონთან ურთიერთობა მკვეთრად დაეძაბა. 62 წელს, ბურუსის გარდაცვალებითა შეზღვევდა. სენეკა სრულად ჩამოშორდა საზოგადო მოღვაწეობას და მთელი დრო ფილოსოფიის დაუთმო. 65 წელს აენეკა პიზონის შეთქმულებაში თანამონაწილეობაში დაადანაშაულეს. იმპერატორ ნერონის ბრძანებით იგი იძულებული გახდა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა სენეკას, როგორც მწერლის, მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის ტრაქტატები ეთიკურ და ფილოსოფიურ საკითხებზე: „ბედისწერის შესახებ“, „რისხევის შესახებ“, „უშფოთველი ცხოვრების შესახებ“, „მოცალეობის შესახებ“, „სანუგეშო წერილები“, „ექვემოქმედების შესახებ“, „წერილები ლუცილიუსისადმი“ და სხვ. სენეკა ავითარებს ფილოსოფიურ მოძღვრებას, რომლის თანახმადაც, ადამიანებმა უნდა იცოდნენ, როგორ იცხოვრონ და როგორ გამოეთხოვონ სიცოცხლეს. ყოველივე ამას განაპირობებს სულიერი სიმშვიდე და პიროვნული

თავისუფლება. საინტერესოა სენეკას დამოკიდებულება სიმდიდრისადმი, რაც თითქოსდა ნინააღრდეგობრივი ჩანს. ფილოსოფოსი გადავებს უზრალეობას და სიმდიდრისკენ დეტალურად მიუღებლად მიაჩნია, თუმცა ფიქრობს, რომ უნდა შეგვეძლოს უარი თქვა სიმდიდრეზე.

ფილოსოფიურ მიზნულანობა გვერდით ჩვეულებად მოაღწია მისმა ცხრა ტრაგედიაში: „გამხადებული პრეტორიანი“, „ფინიკიელი ქალები“, „ტროიული ქალები“, „მედეა“, „ფედრა“, „ოიდიპოსი“, „გამემწონი“, „თიესტისი“, „პრეტორიანი ეტას მთიდან“ და ერთმა მენიპესელმა სატირამ „კვანად გარდაქმნა“, რამელიც ეხება იმპერატორ კლავდიუსის ამოთეოსს. მეთუ პიესის, „ოქტავიას“, ავთენტურობა საეჭვოდ არის მიჩნეული. რომელიც ტრაგედიებადან მხოლოდ სენეკას ტრაგედიები შემორჩა სრულად. ისინი გამიზნულია არა სცენისთვის. არამედ ნოსაამენად ან საკითხავად, სენეკას ტრაგედიებს ახასიათებს „ახალი სტილისთვის“ ნიშანდობლივი თავისებურებები: დეკლამაციური სტილია ან პათეტიკა, რიტორიული სერების სიჭარბე, სენტენციების სიმრავლე, გრძელი დიდაქტიკური მსჯელობები, მიპერბოლები, რიტორიული შეკითხვები, პოეტური და პროზაული ულემენტების სანაარსებობა. დეკლამაციური სტილი ჯაბნის დრამატურციას.

ამაყდროულიად, უცვლელი რჩება ძველი ბერძნული ტრაგედიის გარეგანი ფორმები: ქოროს პარტიტობის მონაცვლეობს მონოლოგისა და დიალოგის ააღე-ქხო ვერსიები, დიალოგში ნონანლიეთა რაოდენობა არ ადუმატება სამს. მენარწუნებულია ძველ ბერძენ ტრაგეკოსთა ნიერ დამუშავებული მათოლოგიური სოუფეტებიც, თემცა ნანარმოების სტრუქტურა,

გმირთა სახეები, ტრაგიკულის ბუნება განსხვავებულადაა წარმოჩენილი. ბედის უკულმართობა, ბედნიერების სიმყოფე, ვნებათა დამღუპველი ზემოქმედება - სენეკას ტრაგედიების ცენტრალური მოტივებია. აღნიშნულ პიესათა გმირები წარმოაჩენენ იმას, თუ რა დამანგრეველი ზიანის მოტანა შეუძლია აფექტს, თუკი გონებაში არ სძლია. სენეკას დრამებში არც თუ იშვიათადაა წარმოდგენილი უზურპატორი ტირანი, რომელიც ძალაუფლებას ბოროტად იყენებს.

„მედეა“ სენეკას პირველი ტრაგედიაა, რომელიც ქართულად ითარგმნა. იკი ავტორს ახ.წ. 45-46 წლების შემდგომ უნდა დაეწერა. აღნიშნული პიესის წყაროდ სენეკას ეგრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედია უნდა გამოეყენებინა. თუმცა, გაპორიცხული არაა, რომ სენეკა სხვა, ჩვენამდე არ მოღწეულ დრამატულ ნიმუშებსაც ეყრდნობოდა, კერძოდ, იფიდიუსის „მედეას“, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო რომაულ ტრაგედიად მიიჩნეოდა.

სენეკას „მედეას“ სიუჟეტი შემოიფარგლება კორინთოში დატრიალებული უბედურების ერთი დღით, თუმცა ტრაგედიას ფონად გასდევს არგონავტების მითის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები: როგორ უბრძანა პელიასმა იასონს კოლხეთში გამგზავრება და იქიდან ოქროს საწმისის წაპოლება, როგორ დაეხმარა მედეა იასონს პელიასის დავალების შესრულებაში, როგორ მოკლა საკუთარი ძმა და არგონავტებთან ერთად დატოვა კოლხეთი, რა ხიფათები გამოიარა გზად „არგონ“, როგორ მოაკვლევინა მედეამ მოტყუებით პელიასი მისსავე ასულთ, როგორ შეიფარა კორინთოში მეფე კრეონმა პელიასის მკვლელობის გამო დევნილი მედეა და იასონი. ტრაგედიის მოქმედება იწყება მას შემდეგ, რაც მედეა შეიტყობს

თავზარდამცემ ამბავს: კრეონს სურს იასონი მედეას დააპოროს და საკუთარი ასული შერთოს ცოლად, ხოლო თავად მედეა კორინთოდან გააძევოს.

ერთი შეხედვით, სენეკას „მედეას“ თარგმნა სიოთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ აღნიშნული ტრაგედიისათვის დამახასიათებელი ნიუანსები: რიტორიული ხერხები, ირონია, შიპერბოლა, მეტაფორების სიჭარბე მთარგმნელისგან განსაკუთრებულ ყურადღებას ღიოთხოვს. გარდა ამისა, სენეკა უხვად იყენებს მითოლოგიურ პასაჟებს და ალუზიებს, მითოლოგიური შინაარსით დატვირთულ ეპითეტებსა თუ მეტაფორებს, რომელთა გაგება მკითხველისგან ანტიკური მითოლოგიის ცოდნის გარკვეულ დონეს მოითხოვს. თარგმნისას ამ პასაჟების გამარტივებით იკარგება სენეკას სტილი და გამოსახვის ორიკინალობა. ამიტომ ვარჩიეუ მიეგოლოდით მწერლის სტილს, ხოლო ბუნდოვანი პასაჟები კომენტარების სახით განგვემარტა.

მედეა

*Medea*





მოქმედება ბდება კორინთოში, შედგება სახლის წინ.

**მადა**

თქვენ, ქორწინების შექმნე ღმერთებს, შეუღლებულთა  
სარკელის ზღარველს — ლუკინას და შენც, ვინაც  
ტიფისა

პირველს ასწავლე გემის მართვა-დაშორჩილება  
ზღვათა სამეცრობად და ამ ზღვათა სასტიკ

მზრძანებელს,

ტიტანს, სამყაროს დღის სინათლეს რომ უნანილებს,  
ქალღმერთო პეკატეს, სამსახოყანს, ვინაც მნათობად  
თავის იდუმალ ძისტროებს მოცვლინება,

ღმერთებს, რომლებიც შემოშფიცა ნე იასონმა,  
თქვენც, ვის წინაშეც უწინარეს მმართებს ვედრება —  
ბხელ ქაოსს, ზეცას დაშორებულ ქვესკნელს და

მანებს,

10

პირველი მხარის მბურობელს, მის ცოლს, ჩემზე  
ბედნიერს —

მოემართავთ სიტყვით, ზიკოეს რომ არ მოაანავებს.  
ახლა, ახლა გთხოვთ შემწეობას, სისხლისღვრის გამო  
მურისმგებელ ქალღმერთებო, გველბათმიანო,  
სისხლიან ხელით მქრქალი კვარი ვიაც გიპყრიათ,  
მისსპომგვრელნი სომ ოდესღაც გამოსეცხადეთ  
ჩემს კორწილშიდაც... მოუვლინეთ სიკვდილი

ჩველას —

ახალ ხარბლოს და სასიძამროს და მთელ მათ მოდგმას.  
სასიძოსათვის უარესი შემოვიანახე:

დაე, იცოცხლოს! უმოვარმა და უსახლკარომ, 20

გაძვეცხულმა მოაკიასოს უცნობ ქალაქებს,  
სასურველ სტუმარს უცხო ზღურბლი ოცნებად ექცეს,  
კელაე მე მინატროა. უარესი რალა ვუსურვო  
საკუთარ წვილებს: ჰგვანან დედას და ჰგვანან მამას,  
და, აი, იშვა შურისგებაც: მე ვარ მშობელი.

სუთუ ამოდ მიმოეფანტავ სამდურავ სიტყვებს?  
მტერს არ ეგვეეთო? საქორწინო ცეცხლს გამოეცატებ  
ხელთაგან, მოვნყვეტ ციდან ნათელს... ამის შემყურე  
მზე, ჩემი პაპა, კელაე გაივლის ეტლისა: ჩვეულ გზას?  
სუთუ დარჩება შემდეგ ცაზე ისეე ხილულად? 30  
დღეს არ დაამცრობს, შირს არ იქცევს აღმოსავლეთით?

პაპავ, მიბოძე მოგიზგიზე აღვირი, რათა  
ქენი რაშები, ცეცხლოვანი, დავიმორჩილო.  
მომანდე ეტლი, მშობლიური, ცად რომ ავიჭრა!  
დაე, ანგოს ორ ზღვას შუა კორინთოს მინა,  
რათა ხანძარმა შეაერთოს მათი ზვირთები.

სხვა რალა ჯამრჩა – თვით მოვართვა მათ ჩირაღდანი  
და შემდეგ ლოცვა აღვაუღინო, მავედრებელმა  
ღმერთებს შევნირო ნმინდა მსხვერპლი

საკურთხეველთან.

მათი შიგანი იყოს ქენთვის გზა შურისგების! 40

თუ ცოცხალი ხარ, ხულო ჩემო, თუკი შემოვარჩია  
ჩვეული ძალა – უკუაგდე ქალური შიში.

კავკასიური სისასტიკით გული აივსე,  
ას უღწერთობა, რაც უზილავს ფასისა და პონტოს,  
სახოს ისთმოსმაც. სივერაგე გაუგონარი,

ზრახვა ბოროტი, ძრწოლუაა რომ ჰგვრის მიწას და  
 ზეცას,  
 კონებას მირევს, გამჯდარი მატებს ძვალ-რბილში:  
 მსხვერპლი,  
 სისხლი, მკვლელობა, წადენილი ქალწულობის უამს,  
 უმნაშენელოა ... მთობატებს ჩემი ტკივილიც,  
 ან უკვე მშობელს უფრო დიდი ცოდვა შეეფერისა. 50  
 აღივსე რისხვით, მოემზადე მათ დასალუზად,  
 დაე. თაობებს გადაეცეს ამბავი შენი  
 განქორწინების, ისე როგორც – დაქორწინების.  
 ვისაც გააჰყევი, მიატოვე, ჩუღარ აყოფნებ:  
 ცოდვით შექმნილ სახლს შეჭფერის, გაშორდე  
 ცოდვით.

### ქორო

სამეფო ქორწილს ვინძლო ეახლონ  
 კეთილმოსურნე ღმერთნი, ცის და ზღვის,  
 იმ ხალხთან ერთად, ვინც მათ დაყვანს სცემს.  
 დე, სინ უძლიადეთ ზურგთეორა ხარი,  
 მესთამტეხლისაჲთა კისერგანვდილი; 60  
 თუთრ დეკეულსაც ვნირავთ ლუკინას.  
 მას, ვისაც ძალუძს მძვინვარე მარსის  
 სისხლში გასერილი ხელის მოთოკვა,  
 ვინც ზანს ანიჭებს მეომარ ხალხებს,  
 ვისაც სიუხვის რქა ხელთ უწყრია -  
 მიიღოს უფრო მსუბუქი მსხვერპლი!  
 ვინც კანონიერ საქორწინო კვარს  
 გვერდით უდგაბარ და ჰნელს განფანტავ  
 მოწყალე ხელით, გვირგვიწოსანო,  
 მთვრალი ბარბაცით მოგვიახლოუდი. 70



დალის და ღამის მაცნე ვარსკვლავო,  
ამოიფლას მარად რომ უგვიანებ  
შეყვარებულებს, შენა პირველ სივებს  
ქალწულიც, ქალიც დღეღით მოელის.

.....  
მშვენებით ჯობნის ქალწული  
კეკრიშველ რძლებსა და იმათაც,  
ვისაც ვაჟკაცთა დარად წერთნის  
უგაღავანო ქალაქი

ტაიგეტუსის ქედებთან.

მათაც, ვინც განუბანია

80

აონიურ წყლებს, ალფეოსს.

იურიც: თუ გსურს განსაჯო –

ესონიელი გმირი სჯობს

მრისხანე ელვის მემკვიდრეს,

ვინც ვეფხვებს აბაშს უღელში

და აშას სასტიკი ქალწულის,

ვინც ტრიპოდს აამოძრავება,

მას ვერ დაჩრდილავს: კასტორი;

კრივში ნაცადი პოლუქსი.

ზეცას ვთხოვ: დე, საბატერძლომ

90

ყოველი ცოლი დაჩრდილოს,

ყველა ქმარს საძემ აფობიოს!

.....  
ქალთა ქორში როცა იგი ადგილს იკავებს,

იმ ერთადერთის გარეგნობა ყველას დაჩრდილავს,

ისევე, როგორც მიუ ამქრქალებს გარსკვლავთა ნათელს

და პლუადების მთელი გუნდი უჩინარდება,

როდესაც მზისგან ნასესხები სინათლით ფებე

თავის სრულ დისკოს სინგკონების ნრგში მოაქცევს.

როცა მას საქმროს ვნებიანი მზერა მისწვდება,  
 მოულოდნელად თოვლიაფერია სახე ეცვლება  
 და პუნიკური საღებავი სიმორცხვითა დაწყება  
 ნითლად უღებავს. მზეც ხომ ასე კაშკაშებს, როცა  
 ცვრია დალტოხილი მწყემსი უმზერა განთიადისას.  
 მენ, საქორწინო სარეცლიდან გამოცვეული  
 შიშისმომგვრელი ფასისელის, ურჩი მკულის,  
 მკერდს შეჩვეული უსურვილო მენი მარჯვენით,  
 სიძვე, ამჯერად საპატარძლოს მშობელთა ნებით,  
 ეოლოელ ქალს აიტაცებ გახარებული.

ახალგაზრდებო, ზოპიერად იმხიარულეთ!  
 ახალგაზრდებო, ყველა მხრიდან სტეკეთ სიძღერა! 110  
 ჩვენს ბატონებთან ამის ნება იშვიათად გაქვთ.  
 თირსოს მკურნობელი ლიევისის ძვე, შეუდარებო,  
 მოვიდა უამრ მირიადი ფიჭვის ანთებს;  
 ფუნე თითებით გააჩაღე ზეიმის ცეცხლი!  
 ფესცენიური სიძღერები დაუ, ვასდახონ,  
 ხალხა იხუმროს თავისუფლად, მდუმარე ბინდში  
 მან შეაბიჯოს, ვინც უცხოელს ცოლად მიჰყვება.

**მედეა**

დავიღუბებით! საქორწინო სიძღერა მესმია...  
 კიდევ არ მჯერა ამოდენა უბედურების  
 ნუთუ იასონს ეს შეეძლო?! მას შემდეგ, რაც მე  
 მომწყობა მამას, ტათს და მამულს, უცხოობაში  
 უნდა დავედღე? დაავინყდა, თუ როგორ ვძლიე  
 ჩემი მზაკვრიობით ცეცხლს და ტალღებს? ნუთუ  
 სჯერა, რომ

ამონენურა ბოროტება? | დაბნეული ვარ,  
 თითქმის უაზრო, გონმიხდილი. ნეტაც სად არის

გ'სა შურისგების? ვეხუთქები აქეთ და იქით.  
ძმა მაინც ჰყავდეს! ცოლი ხომ ჰყავს? დაე, იმის გულს  
ნახვილი წყლავდეს! მოვიფონებ ამით ჩემს ვარამს? 130  
ის, რაც იციან პელასგებმა, ბარბაროსებმა,  
მენი ხელისთვის ჯერჯერობათ რაც უცხო არის,-  
უნდა აღსრულდეს! გაგამხნეოს შენმავე ცოდვამ:  
კელავ შეგახსენოს დაკარგული დიდებულება,  
ხმლით აჩეხილი პატარა ძმა ავი ჯალწულის,  
დასამარხავად ტალღებში რომ მიუვდებ მამას.  
ნარმოიდგინე პელიასის ბებერი ძვლები,  
საიღენძია ქვაბში ჩახარშული. მოგიკლავს ბევრჯერ...  
სისხლი უღირსად დაგიღვრია მრავალგზის, მაგრამ  
არა რისხვის უამს, სიყვარული გამოძრავებდა. 140  
თუძვა იახონს რა შეეძლო, სხვისი სურვილის,  
სხვისი ბრძანების შემსრულებელს? ჯობდა,

გულმკერდი

მხკეილისათვის მიეშვირა! ნუ მათქმევიწებ  
სამინელებას, შმაგო სევდაე, თუ ვერ იცხოვრებს  
ძველი ცხოვრებით: იასონი, ცოცხალი მაინც  
დარწეს ამქვეყნად, ჩემს ნაბოძებ ძღვენა

გაუფრთხილდეს.

უკელაფერში ზომ დამნაშავე არის კრეონი:  
ძალაუფლებით ვიყადემნიღნა მომწყვიტა შვილებს,  
მსკიცხე იოჯახი დაანგრა, ფიცით შეკრული.  
მას ვერჩი მხოლოდ, მან მიიღოს მკაცრი სასჯელი!  
დაიმნახურა ფერფლის მაღალ გროვად ვაქციო  
მიზი ხახლ-კარი. დაინახავს აღში გახვეულს  
თავად მაღლა, შეკოვნებით რომ უშვებს გემებს.

გნა შურისგების? ვეხეთქეჰი აქეთ და იქით.  
 ძნა მაინც ჰყავდეს ცოლი ხომ ჰყავს? დაე, იმის გულს  
 მახვილი წყლავდეს! მოვიფონებ ამით ჩემს ვარამს? | 30  
 ის, რაც იციან მეღალატებმა, ბარბაროსებმა,  
 შენი ბელისთვის ჯერჯერობით რაც უცხო არის,-  
 უნდა აღსრულდეს! გაგამხნეოს შენმავე ცოდვამ:  
 კვლავ შეგახსენოს და კარგული დიდებულება,  
 ბნლით აჩუხილი პატარა ძმა ავი ქალწულის,  
 დასამარხავედ ტალღებში რომ მიუგდე წამას.  
 წარმოიდგინე პელიასის ბებური ძვლები,  
 სპილენძის ქვაბში ჩახარშული. მოგიკლავს ბევრჯერ...  
 სისხლი უღირსად დაგიღვრია მრავალგზის, მაგრამ  
 არა რისხვის ჟამა, სიყვარული გამოძრავებდა. 140  
 თუმცა იასონს რა შეეძლო, სხვისა სურვილის,  
 სხვისი ბრძანების შემსრულებელს? ჯობდა,  
 გულშეკერდი  
 მახვილისათვის მიუშვირა! ნუ მათქმევიანებ  
 საშინელებას, შმაგო სევდავ, თუ ვერ იცხოვრებს  
 ძველი ცხოვრებით იასონი, ცოცხალი მაინც  
 დარჩეს ამტყეყნად, ზენს ნაბოძებ ძღვენს  
 გაუფრთხილდეს.  
 ყველაფერში ხომ დამნაშავე არის კრეონი:  
 ძალაუფლებით ვიჟადქმნილმა მომწყობსა შვილებს,  
 მტკიცე ოჯახი დაანგრია, ფიცით შეკრული.  
 მას ვერჩი მხოლოდ, მან მიიღოს მკაცრი სასჯელი!  
 დაიმსახურა ფერფლის ძალად გროვად ვაქციო  
 მისი სახლ-კარი. დაინახავს აღში გახვეულს  
 თივად ძალეა, შეყოვნებით რომ უშვებს გემებს.

**ძიძა:**

ჩუ, გვედრები! გამოხატე შენი ტკივილი 150  
უსიტყვო სევდით. ვანც დათმენს მძიმე ტრილობას  
მწვიდი სულით და ძღუემარებით, – შეიძლება მიზღვას;  
ზიანი ნოაქვს ფარულ რისხვას, მაგრამ გამხელილ  
სიძულავილს ძალა აღარ შესწევს შურისგებისთვის.

**მედეა:**

განსჯის მორჩილი, შენიღბული სევდა ნცარვა,  
იალუმი რისხვა და სიაცე თავს ვერ დამალავს,  
იერიშს იწყებს.

**ძიძა:**

დაიოვე, ჯობს მქვინუარემა,  
ვინძლო დუმილმაც ვერ გიშეყლოს, ჩემო აღზრდილო.

**მედეა:**

ფორტუნა უფრთხია გაბედულებს, არ იმდობს  
მშისრებს.

**ძიძა:**

თავის ადგილას სი მამაცეცე საქუხარია. 160

**მედეა:**

განა სიქველე უადგილო არის ოდესმე?!

**ძიძა:**

კუღბედობიდან გამოსაელის იმედი არ ჩამს.

**მედეა:**

ყურ შეაშინებს უსახოოს სასონარკვეოა.

**ძიძა:**

აღარც კოლხები... იასონმაც ზურგი გატყია...

მიმოიფანტა, აღარ შეგრაზა შენი საუნჯე.

**მედეა:**

დარჩა მედეა, უტოლდება რომელიც ღმერთებს,  
'სლვასა და მინას, ჭყეა-ჭუნოლს, ცეცბლსა და რკინას.

**ძიძა:**

მეფეს უფრიაბილდი!

**მედეა:**

შაშაზემიც ხომ მეფე იყო.

**ძიძა:**

არც ჯარი გაერთობს?

**მედეა:**

აღმოცენდეს საუნჯაც მინიდან!

**ძიძა:**

მოკვდები!

**მედეა:**

ნეტამც!

**ძიძა:**

ვაიქეცი!

**მედეა:**

ეინანე ერახელ...

170

**ძიძა:**

ნედეა!

**მედეა:**

ღიაბ, მოფიქვენი, როგორც ნედეა.

**ძიძა:**

დედა ხარ!

**მედეა:**

მერე, შემაბსენე, ყისი შუალეების?

**ძიძა:**

ჯერაც ყოყმანობ?

**მედეა:**

გაგიქცევი, ჯერ შურს ვიძიებ!

**ძიძა:**

მღვევარს დაგანევს.

**მედეა:**

უფიქრობ, შენძლებ მათ შეყოვნებას.

**ძიძა:**

მო'ხომე სიტყვა, უგუნურო, რიახვა დაიცხრე!

ამპარტავნება დაიოვე, დროებას მიშყეე!

**მედეა:**

ბუდს ძალუძს განძი რომ მოგტაცოს, სიქველე – არა!..

მაგრამ კარს ვინლა აზანზარებს? – თავად კრეონი,

რომ გაბღენძილა შელასგურა ძალაუფლებით.

**კრეონი:**

როგორ? მედეას, აიეტას ამ ნაენე ააულს,

ჯერ კიდევ ფეხი არ გაუდგამს ზემი ქვეყნიდან?! 180

რალაცას ხლართავს! ცნობილია მისი ხრიკები.

ეინმეს დაინდობს? მშვიდ ცხოვრებას არგუნებს

ვინმეს?

რომ არა სიძის ვედრებანი, მე მზად ვიყავი,

უმაღლესი მადლით მომეცემა ეს მძიმე წყლული.  
სიცოცხლეს ვჭრე. დე, ჩემს საზღვრებს უვნებლად  
გასცდეს,

გვარიდოს შიში!

[დაიხრება მისკენ ნაშოსულ შედეას]

უხედავ, ჩემკენ მოემართება

კუჭები იერიით, სურს ახლოდან განესაუბროს.

მსახურნო, მიდით, შეაკავეთ, ნუ მისცემთ ნებას,

მომიანლოცდეს, სიტყვა დაძრას. დაე, ისწავლოს

მეფის ბრძანების მორჩილება.

[შედეას]:

გაგვზორდი ჩქარა!

190

მძვინვარე მხეცის საზარ საბეს ნულა გვანახებ!

შედეა:

რა შეცოდებას მაზღვევინებ, მეფე, განდევნივ?

კრეონი:

ვითომ არ უწყის, რად ისჯება უმანკო ქალი!

შედეა:

ოუ მსაჯული ხარ, მომისმინე, თუ მეფე - ბრძანე!

კრეონი:

უნდა მისდიო მეფის ნებას, თუნდ უსამართლოს!

შედეა:

დიდხანს ვერ გასტანს უსამართლო ძალაუფლება.

კრეონი:

მესჩივლე კოლხებს, ნადი!

შედეა:

სამეფეს, ვინც მონიყვანა.



### კრეონი:

უკვე გადასკდა, გვიანლაა ხეცნა-მუდარა.

### მედეა:

ააქართლიანი კაპაზენც მცდარია, თუკი  
მეორე მხარეს ისეუამენლად გამოიტანეს.

200

### კრეონი:

გააა ხელისას ისეუსმინე, უადრე დასჯიდი?  
თუმც ასაუბრე, დიდებულ მსჯავრა ვუთმობ ასპარეზს.

### მედეა:

თურა ძნელია, სულია, უკვე ამსეცრებული  
რისხეას არიდო, მეფურ ეაღად ვით მიჩნიათ  
ვეკროსის მკერბელებს, რომ ბოლომდე მიჰქცენ  
რჩეულ ვზას –

ეს უფელივე ძისწავლა ჩემს სასაზღესში.

თუმცა ახლა ვარ დათრგუნული უბედობიანგან,  
მიტოვებულე განდევნილი, მავედრებელი,  
გამომარჩევა მეც ხონ ერთ დროს წარჩიამელობა,  
წილად რომ ცრეკო პაპა მზიანგან, მეფე მაზისგან. 210

რასაც ფ. სისი რსევეს ელაკნელი, დუნე ნაკადით,  
რასაც ზურგს უკან მოიტოვებს სვეთიის პონტი,  
სადაც ქაობი კამტკნარებს ზღვის ძღაშე ზვირთებს,  
სად თავზარს სეცენ თურშოდონია ზემოგარენში  
ნამგალა ფარია აღქერვილი, შუღულღებელ  
ქალთა რაზმები, – მამაზემი განკარგავს ყოველს.

ერთ დროს მეც ვიყავ ბედნიერი, გაბრწყინებული  
მეფური ძალით და მწვენებით, რჩეული სარძლო –  
რჩეული ვაკოაჰის. ცვალებადნა, სწრაფწარმავადნა  
ბედნა-მომწყაჰსა ჩემს ამეფოს, დევნა მარგუნა. 220

დიდებულებას ვით უნდობი, როცა შემისხვევა  
 თავის ნებაზე ათამაშებს, მაგრამ აქვთ მეფეთ  
 ერთი ღირსება, დრო ვერაფერს რომ ვერ დააკლებს:  
 ბუდედასკებულთა თანადგომი და შეფარება  
 მავედრებდოა. კოლხეთიდან მხოლოდ ერთი რან  
 გამოვიყოლე – ხსნა ბერძენთა სახელოვნების,  
 მშვენიერების, აქაველთა მტკიცე საყრდენის,  
 ღწერთთა ძეების. მოგიძღვენით მე თქვენ ორფევისი,  
 ვინც ჰანგით აღბობს კლდეს და ხეებს გამოიდევენს,  
 ტყუპი – ეასტორი და პოლუქსიც ჩემი ძღვენია 230  
 და ბორეასის ორივე ძე, ლინკეუსიც, ვინაც  
 მატყორცნი მზერიით ზღვის წიაღში ფარულსაც ანჩინეს,  
 უკლებლივ ყველა მინიელი, მათ წინამძღოლზე  
 არაფერს ვამბობ; მისი ხსნისთვის არ ხართ მოვალე,  
 ყველანი თქვენთვის დავაბრუნე, ის ერთი – ჩემთვის.  
 მიდი, ჯოველგვარ სიავეში მცან დამხამავედ,  
 თავს არ ვიძმართლებ. შეცოდება მაქვს მხოლოდ ერთი:  
 „არგო“ ვიხსენი. დავივიწყე ასულის ეალი  
 მამის წინაშე. მე რომ არა, ვინ დაიხსნიდა  
 პელასგ წინამძღოლთ? პირველ ყოვლის შენი

სასიძო 240

დაემხოზოდა ცეცხლისმფრქვეველ ხართა წინაშე,  
 როგორი წიხზე განსაცდელიც არ უნდა მერგოს,  
 მათინც არასდროს არ ვინახებ მათ გადარჩენას.  
 შეცოდების წილ, შენს ხელშია, რაც ჯილდოდ მხვდება,  
 სასჯელს დავითმენ, თუ ისურვებ, მაგრამ დამითმე  
 ჯერ ჩემი ცოდვა, ვალიარებ, დამნაშავე ვარ,  
 ასეთს მიცნობდი, გეზვეოდი როცა მუხლებზე  
 და შენს მწყალობელ მარჯვენას რომ შეწევნას  
 ვთხოვდი.

ახლაც გთხოვ: იქნებ შეიკედლო მავედრებელი.  
თუ გამაძეგებ ქალაქიდან, გამოამეტე  
ადგილი სადმე, შენი ქვეყნის დასალიერში.  
კრეონი:

250

მე რომ არა ვარ ძალადობით კვერთხის მძვრობელი,  
არც უბედურთა ნზვია იბრულად ფუხით ნთელავი,  
არ დავამტკიცე ვანა ნათლად, როდესაც სიძედ  
ვირჩიე კაცი დევნილი და დაშინებული,  
ვისი დასჯა და მოკედინება ძლიერ სწყურია  
შეფე აკასტუსს – თესალიის ქვეყნის განმგებელს,  
ვინც პასუსს ითხოვს მოხუცი და დაბუნს მამის  
მკვლელობის გამო, ასო-ასოდ რომ აიჩეხა  
მაშინ, როდესაც უღმერთობა გააბედვინე

260

მის ღვთისნიერ დებს, შენს ხრიკებზე ნანოგებულებს.  
თუ გავმიჯნავდით შენს მიზეზებს მის მიზეზთაგან,  
გამართლდებოდა იასონი: სისხლი არ ბლალავს  
მის უბინობას, არ სჭერია ხელში მახვილი,  
განზე გაუდგა თქვენს ერთობას ალალ-მართალი,  
ბოროტ საქმეთა გამჩარხავი მხოლოდ შენა ხარ,  
ქალურ სიმდაბლეს, ყველაფერს რომ გაკადრებინებს,  
არ სანატვრო ერთვის შენში კაცური ძალა.  
ნადი, ჩემა შინას დაეხსენა, თან სასიკედილო  
შხამ-ბალახეშიც ვაიყოლე, მოქალაქეებს  
არიდე შიში, ღვთაებებიც სხვაგან აცდუნე!

მედია:

გაქცევას მისჯი? დამიბრუნე დევნილს ხომალდი  
ას თანამგზავრი. რად მიბრძანებ, ვილტვოდე მარტო?  
მარტო არ მოველ. კარზე მომდგარი ომსა თუკი უფროსი,  
ორივე ერთად გავვაძვცა. რატომ ასხვავებ

ახლაც ვთხოვ: იქნებ შიკედილო მავედრებელი.  
 თუ გაშაძევებ ქალაქიდან, გამოიმეტე  
 ადგილი სადმე, შენი ქვეყნის დასალიერში.  
 კრეონი:

მე რომ არს ვარ ძალადობით კვერთხის მპყრობელი,  
 არც უბედურთა მზევაობრულად ფენით მთელაუი,  
 არ დაჯამტკიცვი განა ნათლად, როდესაც სიძედ  
 ვირიოე კაცა დევნილი და დაშინებული,  
 უსი დასჯა და მოკედიჩება ძლიერ სწყურია  
 მცდე აკასტუსს – თებალიის ქვეყნის განმგებელს,  
 ეინც მასუხს ითხოვს მოხუცი და ნაბუნი მამის  
 მკვლელობის გამო, ასო-ასოდ რომ აიჩება  
 მამინ, როდესაც უღმერთობა გააბედვინე

მის ღეთისნიერ დებს, შენს ხრიკებზე წამოგებულებს.  
 თუ გავმიჯხავდით შენს მიზეზებს მის მიზეზთაგან,  
 გამართლდებოდა იასონი: სისხლი არ ბლალავს  
 მის უბინობას, არ სჭერია ხელში მახვილი,  
 განზე გაუდგა თქვენს ერთობას ალაღ-მართალი.  
 ბოროტ საქმეთა გამჩარხავი ნხოლოდ შენა ხარ,  
 ქალურ სიმდაბლეს, ყველაფერს რომ გაკადრებინებს,  
 არ სანაქებო ერთვის შენში კაცური ძალა.  
 ხადი, ჩემს შინას დაეხსენი, თან სასიკედილო  
 მხამ-ბალახებიც გაიღოლე, მოქალაქეებს  
 არსდე შიში, დღეთაეხებიც სხვაგან აცდუნე!

### მედეა:

ვაქცევას მისჯი? დამიბრუნე დევნილს ხომალდი  
 ან თანამგზავრი. რად მიბრძანებ, ვილტვოლე მარტო?  
 მარტო არ მოველ. კარზე მომდგარ ომს თუკი უფრთხი,  
 ორივე ერთად გაგვაძევე. რატომ ასხვავებ

ჯერ ნეიმის მომგვრელ პიადებს გემი  
 გვერდს ვერ უვლიდა,  
 ვერც ოლენიის თხის სივაშკაშეს  
 და ვერც არქტიკულ დიდ რვილს, რომელიც  
 მისდევს და ძართავს მოხუც ბოოჭესს,  
 ბორეასისთვის, ზეფიროსისთვის  
 ჯერაც სახელი არ დაერქმიათ.  
 მაშინ გაბედა უკიდევანო  
 ზღვაზე იალქნის აშლა ტიფისმა  
 და დაუდგინა ქარებს წესები:

320

ხან გაუბერათ აფრა მკურდიყით,  
 ხანაც მიეკრათ წინა ბაგირზე,  
 როცა უბერავს შემხვედრი ქარი,  
 ხან ხაიმეფოდ  
 მიებათ იგი შუა ანძაზე,  
 ხანაც მიეცათ დიდი სიჩქარე,  
 როცა მეზღვაურა  
 ხარბად სწყურია ნებისმიერი  
 სიის დაღერა და ამ დროს მალლა  
 აყრილადება შინდისფრად აფრა.  
 ჩვენი მამები ბრწყინვალე დროის  
 მომხრენი იყვნენ და არა ბილნის,  
 მძობლიურ მინას შემუერებულებს,  
 მკვირვლით მდიდრებს,  
 ცოვლათი არრა ეხილათ, გარდა  
 იმისა, რასაც იძლევა მინა.  
 და ამ მშვენივრად განაწილებულ  
 ხანყაროს ფიჭვი თეაალიური  
 თავს უყრის ერთად, ზღვას კი ნიჩბებით  
 ვასკეპლას აჩვევს და ზღვის უცხო შიშს

330

ჩვენი შიშების ხაზილად აქცევს.

მაგრამ თავხედი სასჯელსაც ანეწევს

340

ხანგრძლივ განსაცდელს რომ გამოივლის;

ხან ზღვის ჯურღმულთა ზღუდე – ორი კლდე,

მოულოდნელი ძალით აღძრული

ერთმანეთისკენ ორივე მხრიდან

მოიწევს ზათქით,

რომელიც ციურ ქუხილს ედრება

და ზღვა მათ შორის გამომწყვადული,

ნისლსა და მხეფებს გაფანტავს ირგვლივ.

უძიშარ ტიფისს ეცელება ფერი

და საჭეს უშეგებს უდრეკ მარჯვენას,

დუმს ორფვესიც და დუმს მისი ღირსაც.

ხმა დაჰკარგვია თავად „არგოსაც“.

პელორის კონცხთან როდესაც სკილა,

350

ავი ძაღლებით გარწემორტყმული,

ერთბაშად ყველა ხახას ჯააფრენს,-

ვის არ დაუვლის ძვალ-რბილში შიში,

როს მრავალი ხმით უყეფს ავსული?

ან როცა ავისმომასწავებლად

აკეობს სიმღერა ავსონიის ზღვას?

მათ საპასუხოდ პიერიული

ღირით ორფვესი უბრძანებს თითქოს

მღერიო ხომალდთა ტყვედქმნას შერვეულ

აირინოზებს, რომ მას გაედვენონ.

რა იქცა ჯილდოდ ამ მგზავრობისთვის?

ოცროს საწმისი და ბოროტება

ზღვაზე ვერაგი – თავად შედეა,

რა საკადრისად მიეზლო მართლაც

გემთაგან პირველს.

დღეს ზღვაშიც დათმო, უკვე ყოველგვარ  
ნებს დამორჩილდა.

მაღასის ხელით ნაგებია „არგო“,  
მეფური მოდგმის მყნობეებით  
ვიღას სჭირდება,  
როცა ზღვებს მცირე კარჭაპიც სერავს?  
მომლილა ზღვარი და ქალაქებშიც  
ახალ მინებზე აღმართეს ზღუდე.  
სამყარო ფართოდ გახსნილი გზებით  
კუთვნილ ადგილზე არაფერს ტოვებს:  
ცივი არაქსი არწყულებს ინდოს,  
სპარსელს რაინის, ალბიანს ნყლები.  
მოგვიანებით, დრო მოვა, როცა  
მსოფლიოს აახლვრებს გააფართოებს  
ოკეანოსი, ტეთისიც ახალ  
მინებს გაგვიძლის, აღარ იქნება  
არც თულე ქვეყნის დასალოერი.

**ძიძა:**

*ქუდავს, მედეა მოიჭარის ხახლიდან*  
ჩემო აღზრდილო, რატომ ჩქარობ შინიდან  
გასვლას?

300

მეხერდი, რისხვა დაიოკე, გზნება დაივხრე.

*ქიდეა მიდის, ყურადღებას არ აქცევს*  
მსავი ნაბიჯით მიბარბაცებს, როგორც მინადე,  
მთახლოება როს ღვთაების გონებას ურევს  
სასას ქედზე თუ თოვლიანი პინდუსის წვერზე.  
მეხეტება ხან აქ, ხან იქ, გიჟური სრბოლით  
და მეშლილობის ყველა ნიშანს სახით ატარებს:  
ლოყები უზურს, სუნთქავს მძიმედ, ქოშინ-ქოშინით,

დღეს ზღვამაც დათმო, უკვე ყოველგვარ  
იქსს დამორჩილდა.

ქალასის ხელით ნაგები „არგო“,  
მეფური მოდგმის მენიჩბეებით  
კილას სჭარაღება,  
როცა ზღვებს მცირე კარჭაპიც სერავს?  
მომლილა ზღვარი და ქალაქებმაც  
ახალ მონებზე აღმართეს ზღუდე.  
სამყარო ფართოდ გახსნილი გზებით  
კლოენილ ადგილზე არაფერს ტოვებს:  
კივი არაქსი არწყულებს ინდოს,  
სპარსელს რაინოს, აღზისის წყლები.  
მოგვიანებით, დრო მოვა, როცა  
მსოფლიოს საზღვრებს გააფართოებს  
ოკეანოსი, ტეთისაც ახალ  
მინებს გაგვიძლის, აღარ იქნება  
არც თულე ქვეყნას დასაალიერი.

**ძიძა:**

*ჩუდავს, მედეა მიიჭარის სახლიდან*  
ჩემო აღზრდილო, რატომ ჩქარობ შინიდან  
გასვლას?

380

მეწერდი, რისხვა დაიოკე, გზნება დაიცხრე.

*მედეა მიდის, ყურადღებას არ აქცევს*  
მშავი ნაბიჯით მიბარბაცებს, როგორც მენადე,  
მოახლოება როს ღვთაების გონებას ურევს  
სისას ქედზე თუ თოვლიანი პინდუსის წვერზე.  
მივხეცება ხან აქ, ხან იქ, გიჟური სრბოლით  
და შეშლილობის ყველა ნიშანს სახეივ ატარებს:  
ლოყები უხურს, სუნთქავს მიიმედე, ქოშინ-ქოშინით,



### იასონი:

ოი, მძიმე ხვედრს, ოი, ამ ბედს, მარადის სასტიკს!  
თუნდაც გაგინყრეს, თუნდ დაგინდოს – გავნებს  
თანაბრად.

ნამალს, ტანჯვაზე უფრო: მხარეს, ნეტავ რამდენჯერ  
გვიგზავნის ღწერთი; თუ ავირჩევ მეუღლს: სადმის  
(ვით იმსახურებს) ერთგულებას – მელის სიკვდილი,  
თუკი აღსასრულს ავირიდებ – ველარ დაერჩები  
მისი ერთგული. მამოძრავებს მე არა შიში –  
მასაშვილური სიყვარული – მშობლების კვალად  
მისმობენ შვილებს!.. სამართალო, თუ ისეე სახლობ  
ზეცვაში, მაშინ მოწმედ ვიბნობ შენს წმინდა

სახელს: 440

მე ვირჩევ შვალებს, როგორც მამა. მათმა ღედამაც,  
თუმცა კი გულათ მიწინვარება და მეტად ურჩი,  
სარეცელს უნდა ამჯობინოს შვილებზე ზრუნვა.  
გადაუნყვიტე, რომ მისი რისხვა ხვეწნით მოვალბო.  
*[მედვა დანახავს იასონს!]*

ჩემს დანახვაზე წამოიჭრა, გაცოფებული,  
ქულვით აღსავაე, აღებეჭდა სახეზე ტანჯვა.

### მედვა:

ვილტვი, იასონ, ვილტვი, ჩემთვის არ ახალია  
საბლის დათმობა, მიზეზია მხოლოდ ახალი –  
უნინ შენ გამო მივილტვოდი. წავალ, დაგტოვებ.  
როგორც მიბრძანე, გავეცლები შენს საცხოვ-  
რებელს,

450

საით მავზავნი? ნუთუ ისევე კობხეთს და ფასისს,  
მამის სანდგოს მიჯამურო, სადაც ძმის სისხლი  
კვლებს რწყავს? ნეტავ მიმითითებ რომელ მიწასე

- ან რომელ ზღვაზე? ნუთუ მირჩევ პონტოს ზღვის  
სრუტეს,  
სიმპლეგადების გავლით, სადაც მეფეთა რაზმი  
გამოვატარე მაცდუნებელს გადევნებულმა?  
იქნებ იოლკოსს ანდა ტემპეს თესალიაში?  
ჩემთვის ყველა გზა მოჭრილია, შენთვის – ხსნილია.  
სად მიშვებ? დევნილს თუმცა ლტოლვას მიუსჯი,  
მაგრამ
- საით გაიქცეს – არ უნესებ. მეფის სიძისგან 460  
ბრძანებულს მე არ ვეურჩები. დამსაჯე მკაცრად,  
დავიმსახურე. დე მეტოქეს თავს დამატებონ  
მეფური რისხვა, დამიმძიმონ ნაჯა ბორკილით,  
თუნდ მარად მრუმე ქვის ქვაბულში გამომამწყვდიონ,  
ნაკლებად, ვიდრე ვიმსახურებ, დავიტანჯები.  
თავს შეახსენე, უმაღურო, ცეცხლისმფრქვეველი  
ხარების ფშვინვა, მოუთოკავ რაზნთა სიფიცხე,  
ნახირის სუნთქვა, ცეცხლოვანი, აბჯრიან ველზე  
და უცაბედად გაჩენილი მტრის იარაღი,  
ჩემი ნებით რომ სასიკვდილოდ ეკვეთნენ  
ერთურთს. 470
- ამას დაურთე სასურველი ფრიქსეს სანმისიც,  
დრაკონი, ძილის უმეცარი, ჩემი ბრძანებით  
უჩვეველ თვლემას რომ მიეცა, ძმა სასიკვდილოდ  
გამეტებული – ჩადენილი ერთ ქმედებაში  
მრავალი ცოდვა, გაიხსენე ქალიშვილები,  
ჩემი მზაკვრობით ცდუნებულნი, მოხუცი, რომლის  
დაჩეხილ ნაწილთ არ ეწერათ გამთლიანება.  
შენი შვილების იმედს და შენს მტკიცე  
საცხოყრისს, 478

ძღვეულ ურჩხულებს, ხელებს, შენთვის  
 დაუზარებელთ,  
 ყველა განსაცდელს, რაც კი ერთად გამოვიარეთ, 470  
 მონმეებს ჩენი ქორწინების – ზღვასა და ზეცას,  
 გავედრებ, მეც მხედვეს ზემი წილი ბედნიერება. 482  
 ჩემი სამეფო უცხო ქვეყნის გულსთავის დავამე. 477  
 იმდენ სინდიდრეს, რამდენიც აქვთ სკვითებს  
 მცბუნეარე 483

ინდოეთამდე მკვიდრ ხალხთაგან მოტაცებული,  
 იმ განძის ოდენს, სასახლენი ძლივს რომ იტყვენ,  
 ხეებზე ვკიდებთ კოლხნი, თუმც მე ხელი არ ვახლე,  
 გამოვიყოლე მხოლოდ ძმა და შენ შემოგნარე,  
 როგორც აამშობლო, მანაჩენი, ქალიშვილობა,  
 როს გამოგყევი. დამიბრუნე დევნილს კუთვნილი.

**იასონი:**

მრისხანე კრეონს როცა სურდა შენი მოსაპობა, 490  
 გულმობლობილმა ჩემი ცრემლით გიძღვნა განდევნა.

**მედეა:**

ძღვენი ყოფილას: მე განდევნას სასჯელად ვრაცხდი.

**იასონი:**

გადაირჩინე თავი, წადი, სანამდის დროა,  
 მკაცრია მუდამ მეფის რისხვა.

**მედეა:**

ამას შიმტკიცებ

კრეუსას გამო, გსურს, მეტოცე ზამოაცილო.

**იასონი:**

ტრფობას მაყვედრი?

**მედეა:**

და მკვლელობას, გამცემლობასაც.

**იასონი:**

ბრალეული ვარ, მაინც რომელ დანაშაულში?

**მედეა:**

ყოველში, რაც კი ჩაეიდინე.

**იასონი:**

ერთილა მაკლდა,

შენს ცოდვებშიდაც დაშნაშავე ეყოფილიყავი.

**მედეა:**

შენს ვისერზება! ცოდავს ის, ვინც ცოდვით

სარგებლობს! 500

დღ, გამობდეს ყველა შენს მეუღლეს, სახელგატეხილს,

შენ დაიცავი, გაამართლე, მხოლოდ შენს თვალში

უცოდველ იყოს ის, ვინც სცოდა შენი გულისთვის.

**იასონი:**

რად ღირა სიცოცხლე, გამოსხნილი ხირცხვილის

ფასად?

**მედეა:**

თუ არად გიღირს, რად არ ისპობ ააეთ სიცოცხლეს?

**იასონი:**

სჯობს, დაიმშვიდო გული, რისხვით ააღებუდი,

შვილების ხათრით.

**მედეა:**

უარს ვამბობ, ვაშორებ, ვტოვებ...

ძმებსაც აჩუქებს წათ კრეუსა?

**იასონი:**

დიახ, იქცევა

უძლურთა მცველად და დედოფლად დევნილის ძეთა.

**მედეა:**

არ გაუთენდეთ ის შავი დღე ბედკრულებს, როცა 510  
ულირსი თესლი შეერევა ბრწყინვალე მოდგმას,  
ფებუაის ძეგბა – სისიფოსის შთაშომავლობა.

**იასონი:**

ან საკუთარ თავს რად იღუპავ, ან მე რად ძლუპავ?  
ბედშავო, წადი!

**მედეა:**

კრეონს ესმა ჩემი ვედრება.

**იასონი:**

რით დავცემშარო?

**მედეა:**

ჩაიდინე დანაშაული.

**იასონი:**

მეფეებია აქაც, იქაც.

**მედეა:**

აქ ვარ მედეა,  
ჯერ კიდევ მათზე საშიშარი, დე, შეგვერკინოთ,  
ჯილდოდ დანესდეს იასონი.

**იასონი:**

ბედს დავმორჩილდი.

შენც ფრთხილად იყავ, მრავალგზის გაქვს ბედი  
დაცდილი.

**მედეა:**

ფერხთით განმერთხა საბოლოოდ ყოველი ბედი. 520

**იასონი:**

ხომ იქადნება აკასტუსი.

**მედეა:**

გვყავს უფრო ახლო

მტერიც – კრეონი. მაგრამ არ გთხოვს სასინამროზე

ხელია აღმართვას, ნათესავის მოკვლას მედეა.

შეუბღალავი ჩემთან ერთად შენც გაიქცევი.

**იასონი:**

ორმხრივი ომის სისასტიკეს ვინ აღუდგება,

თუ კრეონი და აკასტუსი ჯარებს შეკრებენ?

**მედეა:**

მათ თუნდაც კოლხნი დაუნატე აიეტითურთ,

სკეითნი, პელასგნი შემოკრიბე, მარცხს ვანენეც

ყველას.

**იასონი:**

მზარავს მეფეთა კვერთხი,

**მედეა:**

იქნებ თავად გაურს იგი?

**იასონი:**

შეკვეცე ვრცელი საუბარი, ეჭვი არ აღძრას.

530

**მედეა:**

ცით დაიგრგვინე, დიდო ღმერთო, იუპიტერო,

ხელი შემართე, მოამზადე მზღველი სახმილი,

ღრუბლები დაძარ, შეარყიე მთელი საშყარო,

ოლონდ ჩვენს შორის ნურვის ირჩევს შენი მარჯვენა,  
მიანდე ელვას – დასცეს ის, ვინც დამნაშავეა –  
ან მე, ან – იგი, შენი ელვა არჩევანისას  
არასდროს ცდება.

**იასონი:**

გიჯობს, საღად განსჯას შეუდგე,  
მშვიდად იუბნო. განდევნა რომ შეგიმსუბუქდეს,  
ჩემი სიმამრის სასახლიდან ითხოვე, რაც კსურს.

**მედეა:**

მირვეულია, კარგად იცი, მეფურ სიმდიდრის 540  
არად ჩაგდებას ჩემი გული და ძალაც შესწევს.  
შვილნი მაახლე დევნილს მხოლოდ, რომ მათ უბეში  
ვლვარო ცრემლები. ვაჟიშვილებს ისევ შეიძენ.

**იასონი:**

გამოგიტყდები: შენს მუდარას მსურს დაცევე, მაგრამ  
მამაშვილური გრძნობა მხოჭავს, ამის ატანას  
ვერ მაიძულებს ვერც სიმამრი – მეფე კრეონი.  
მე მათში ვპოვებ სიცოცხლის აზრს, ნუგემისცემას  
ჩემი დამწვარი გულისათვის, უმაღ თვალის ჩინს,  
სიცოცხლეს დავთმობ...

**მედეა:**

*[თავისთვის]*

ასე ძლიერ უყვარს შვილები?

მშვენიერია! მივაგენი მის მოწყვლად ადგილს. 550

*[იასონს]:*

ბოლო ჟამს მაინც მასაუბრე წასვლამდე მათთან,  
ნება მომეცი, მოვეხვიო უკანასკნელად –  
ჩემთვის საჩუქრად ესეც კმარა, ბოლოს გთხოვ ამას,

არ ჩაიტოვო გულში, თუ რამ ავი გეუბნე  
გახევებულმა მწუხარებით, შემოინახე  
მოგონებები ჩემი უფრო კეთილი მხარის.  
რისთვის უამს თქმული დაივიწყე.

**იასონი:**

გულს განვარიდე.

შენც გევედრები, დაიოკო მშფოთვარე გზნება,  
დანყნარდე, რადგან ამსუბუქებს ტანჯვას სიმშვიდე.

[მიდის]

**მედეა:**

ნავიდაა ნუთუ? ისე მიდის, რომ აღარ ახსოვს, 560  
ვინ ვარ და რა მაქვს ჩადენილი. გადაავიწყდა?  
არ დავავიწყებ!

[საკუთარ თავს]

მთელს შენს ძალას, ხელოვანებას  
მიდი, მოუხმე, ნუ მიიჩნევ დანაშაულად  
შენი სიავის ნაყოფს, რა დროს ოინებია?  
შიშით მიცქერენ... იქ დაჰკარი, სადაც არავინ  
არ ელის დარტყმას. ნუ ყოყმანობ, სცადე ყოველი –  
რაც ძალგიძს, ისიც, რაც შენს ძალებს აღემატება.

[ძიძას]

ერთგულო ძიძავ, თანამგ ზავრო ჩემი ვაების,  
მეყავი შემწედ ჩანადიქრის ასრულებაში,  
გვაქვს მოსასხამი, ზეცის ძღვენი, მამშვენებელი 570  
ჩვენი სამეფოს და სასახლის, რომელიც ერგო  
მამაშვილობის ნიშნად მეფეს მზის ღვთაებისგან,  
ეფლობთ სამკაულსაც, ოქროსაგან დაწნულს და  
მორთულს

ძვირფასი თვლებით – თმის სამკობად რომ იყენებენ.



ჩემმა შვილებმა ძღვნად მიართვან ესენი სარძლოს,  
ოღონდ წინდანინ დამლუპველი სამსალოთ გავუღენთ.  
პეკატეს ეუხშობ, აღიმართოს საკურთხეველი,  
ცქეხლის ალებმა დაიგრგეინოს მთელ სასახლეში.

### ქორო:

ისე არ მძლავრობს ქარიშხალი, თუნდა ხანძარი  
და არც ნატყორცნი შუბი ზაფრავს ისე ძლიერად, 580  
ვით სიძულვილი, დანთვებული მეუღლის გულში,  
ვისაც დაენგრა ქორწინება.

ვერ შეედრება მას ავსტერი, წვიმის მომგვრელი  
და ვერც ჰისტერი, როცა ტალღებს მიერეკება  
ადიდებული, ხიდება მყარად დგომას რომ უშლის  
და ველ-მინდჯრებს რომ მიანწყდება.

ვერც როდანუსი, შეიჭრება როდესაც ზღვაში  
და ვერც მცხუნვარე მზის სხივებით ღვარად ქცეული  
თოვლის შვავები, როცა შუა გაზაფხულის ჟამს  
ძალა ეცლება მკინვარ ჰემუსს. 590

ბრმა არის ცეცხლი, რისხვისაგან გაღვივებული,  
არად დაგიდევს მორჩილებას ან ზღუდე-ლაგამს,  
მას ვერც სიკვდილი შეაშინებს, თავად მაზვილსაც  
აღუდგებოდა წინ ხალისით.

წყალობა ჰყავით, ო ღმერთებო, თქვენ გევედრებით,  
დაე იცოცხლოს მან ვინც ზღვები დაიმორჩილა,  
მაგრამ მეორე სამეუფოს დაპყრობის გაჰო  
რისხავს სიღრმეთა მბრძანებელი.

ყმანვილმა, ვინაც დაივიწყა მამის მიზნები  
მარადიული ეტლი. მართვის თავს მისცა ნება, 600  
თავად დაფერფლა იმ ხანძარმა, რომელიც ვაზე  
შლეგად ქცეულმა მიმოფანტა.

არ დაგოჯდება ძვირად კარგად ნაცნობი გზები,  
მტკიცედ მისდევ ოდიტგანვე უსაფრთხო სავალს  
და ამ სამყაროს დაურღვეველ წმინდა კანონებს,  
დაუდევარო, ნუ შელახავ.

ვინაც სარისკო გემის ცნობილ ნიშებს პირველად  
ხელი მოჰკიდა, ვინც გაბედა ხშირფოთლოვანი  
საღვთო ქალიდან პელიონის ჩამომორება,  
ვინაც მოარულ კლდეებს შორია მედგრად შეიჭრა, 610  
ზღვის ყოველგვარი განსაცდელი ვინც დაითმინა,  
რომ ბარბაროსთა ნაპირებზე გვარლი მიება,  
უცხოთა ოქროს გამტაცებლის დასაბრუნებლად,  
უსახტიკესი აღსასრულით გამოისყიდა  
არად ჩაგდება ზღვის ნესების.

სასჯელს მოითხოვს ზღვა პასუხად გამონვევაზე:  
პირველს მიეზღო ტიფისა - ზღვათა

დამმორჩილებელს,

ვინაც მიანდო გამოუცდელ მესაჭეს მართვა  
და დაიდუბა სამშობლოსგან მომორებული  
უცხო ნაპირზე. ჩრდილებს შორის უცნობი მიწის 620  
შეუმჩნეველი გაუხდია სამარედ ზორცი.

მას შემდეგ ავლისს დაღუპული ძეფის სახსოვრად  
შეუფერებლად ხომალდები არ გაუშვია  
თავისა მშვიდი ნავსადგურიდან.

ხოლო ის, ვინაც შვა კამენამ კეთილხმოვანმა,  
ვინაც ქარიშხლებს ადუმებდა კითარის ჰანგით  
და სწრაფ დინებებს უმოძრაოდ გააქვაეებდა,  
ხეებთან ერთად თანამგ ზაერად ეისაც ეახლა,  
საკუთარ ნაშლერს მონყვეტილი ფრინველთა გუნდი,  
ახლა თრაკიის ველზე ყრია მიმოფანტული 630  
და მისი თავი წაუღია ნადვლიან ჰებრუსს.

მიადგა იგი ნაცნობ სტიქსს და ნაცნობ ტარტაროსს –  
ამჯერად ველარ დაბრუნდება.

აკვილოს ვაჟნი აღკიდებამა დასცა უწყალოდ,  
მანვე სიცოცხლე მოუსწრაფა ნეპტუნის ძესაც,  
ვისაც შეეძლო ნაირგვარად ეცვალა სახე...  
მას შემდეგ, რაც მან ზღვას და ხმელეთს მშვიდობა  
მისცა

და მკაცრი დიტის სამეფოთა კარი შეაღო,  
ეტას კოცონზე შეაბიჯა ჯერაც ცოცხალმა,  
გამძვინვარებულ ცეცხლის ენებს მისცა სხეული,  
დაანთხევიანა ორბუნება სისხლი სამსალას,  
მეუღლისაგან მონოდებულს.

ტახის მძვინვარე შემოტევამ დასცა ანკევსი.  
შენ მელეაგროს, უწყინდურად მოპკალ დედის ძმა,  
მაგრამ სიცოცხლე მოგისწრაფა განრისხებული  
დედის მარჯვენამ. იმსახურება ყველა მათგანი  
რა ზვედრიც ერგოთ, თუმც სიცოცხლე რად მოესწრაფა  
იმ სათუთ ქაბუკს, ჰერკულესთან დამეგობრებულს,  
რომელიც შთანთქქს ნდორე წყლებმა თავის ნიაღში?  
მიდით მამაცნო, ააქაფეთ ზღვის ზედაპირი,  
რომლისაც უნდა გემინოდეთ!

თუმცა იდმონი ბედისწერას წინასწარ ცნობდა –  
ლიბიის ქვიშის პინადარმა გვეღმა იმსხვერპლა,  
სხვისთვის – ალალი, საკუთარი თავისთვის კი ცრუ –  
შორს მშობლიური თებესაგან მოკვდა მოპსუსი.  
თუკი მყოფადის შესახებ მან სიმართლე ბრძანა,  
თეტიას ქმარი განდევნისთვის განწირულია.  
ნავბლიუსმა რომ არგიველებს ცრუ კოცონები  
აუბრიალა, მას მოელის ჯურღმულში შთანთქმა,  
დაიღუპება მისი ვაჟიც, სასჯელს ნიიღებს

660

მაშისუფლი შეცოდებისათვის.

მეხი დალუპავს შუა ზღვაში გასულ ოილეესს,  
ფერეფლების შეფისათვის დათმობს სიცოცხლეს  
და მეუღლის ხვედრს ალკეაგისი გამე ასყიდოს,  
პელიასი კი, ვინაც ბრძანა პირველი გემით  
მისთვის აღაფად მიერთმიათ ოქროს სანძისი,  
აღაფრებულ ქვაბში შეხვდა თაღის აღსასრულს,  
მცირე წყალმაც კი დაიტია მისი სხეული.  
კბარის ზღვას გამო სხზლაური, ღმერთნო, დაინდეთ  
ვინც სხვის ბრძანებას აღასრულებდა.

**ძიძა:**

ახლოა დიდი განსაცდელი, სული შემეძრა, 670  
იმატებს დიდად მისი ტანჯვა, თანადვე კვებავს  
საკუთარ გზნებას, კვლავ აახლებს უწინდელ ძალას.  
მინახავს, როგორ ექადნება ღმერთებს, მძვინვარებს  
და ზეცას არყევს. მაგრამ ახლა აღმატებული  
საშინელუბა იგეგმება. შმაგი ნაბიჯით  
გარეთ გაიჭრა, ნიაშურა შავბრელ სალოცავს,  
გამოაღაგა მთელი განძი, ისიც კი, რაბაც  
თავადაც უფროტის. მირიადი რაღაც სიავე  
საიდუმლო და დაფარული ჩამომწკრივა.

მარცხენა ხელით შეეფედრა საზარ სალოცავს, 680  
ყველა სამსალას უბმო, რაც კი გაუჩენია  
მცხუნვარე ქვიშას ლიბიისას, რასაც ტავროსი,  
ყინვით შეკრული, მარადიულ თოვლში ინახავს  
და ყველა ურჩაულს. მოხშობილი მისი შელოცვით,  
ჯგრი ქურცლიანთა თმობს სამაღლავს, აქეთ მოიწევს.  
აი, მოათრევს უზარმაზარ სხეულს იქედნე,  
სამგაპა ენას აჩენს, ეძებს მანვერპლს დასაგესლად,

მაგრამ შელოცვას როცა ისმენს, მყის გახევდება,  
 დაიგრიხება და წრეებად შესალტავს სხეულს.  
 „ეს ბოროტება ლიტონია“ – ამბობს მედეა – 690  
 „უნნიშენელოა იარაღი, მინა რომ ბადებს,  
 ცანი დავიებნი საწამლავეს, დრომ მოაწია,  
 აღსრულდეს რაღაც, რაც აჭარბებს მდაბიურ ხრიკებს.  
 დაეშვას ციდან განოლილი ნაკადის დარად  
 ქვეწარმავალი, რომლის ფართო კლაკილ ხვეულთა  
 სიაალოვეს გრძნობს ორი მსეცა, დიდიც და მცირეც.  
 (დიდი ემხრობა პელასგთ, მცირე – სიდონიელებს).  
 დე, მოადუნოს შებოჭილი ხელი გველმჭერმა,  
 მოგვეცეს სამსალა. დაე, გაჩნდეს ტყუპ ღვთაებათა  
 მტერი პითონი, ჩემს შელოცვას როცა მოისწენს. 700  
 დაბრუნდეს ჰიდრაც, სხვა მრავალი ქვეწარმავალიც,  
 ამონყვეტილი შერკულესის ხელით, გვეახლე  
 შენ, ვინც პირველად მიგაძინა ჩემმა ნამკერვა,  
 მარად მღეიძარო გველეშაპო, დათმე კოლხეთი“.  
 მას შემდეგ, რაც ის უხმობს მოდგმას ქვეწარმავლისას,  
 თავს უყროს ერთად ავისმოქმედ ბალახეულებს:  
 რაც გაუზრდია მიუდგომელ ერქისის კლდოვან  
 ფერდობებს, რასაც დანამული პრომეთეს სისხლით  
 კავკასიონი ყინვიანი აღნოაცენებს.  
 რითაც მდიდარი არაბები ისრებს აწრთობენ, 711  
 კაპარჭიანი მიდიელნი ანდა სპარსელნი, 710  
 შჩაიებს, რომლებსაც დიდებული სვები ქალები 712  
 სუსხიან ცის ევეშ ჰირკანიის ქალებში კრეფენ.  
 აღმოაცენებს რასაც მინა გაზაფხულისას,  
 ბუდის შენების ფაშს, ახ როცა შეძოძარცვავს  
 ხეებს მშვენებას თოვლიანი, ცივი ზამთარი.  
 რაც გამოისხამს სიცოცხლისთვის საშიშ ყვავილებს,

რაც კი ფესვებში დააგროვებს მომაკვდინებელ  
სამსალას – ცოველს გადასწედება მედეას ხელი.  
ერთნი გაიღო ჰემონიის აოონმა, სხვანი

720

დიდმა პინდუსმა, ჰანგეუსის მთაგრეხილებმა,  
დაუძღობელმა ცელმა როცა ფესვებს მოაწყვიტა,  
უხენაკადიან ტიგროსს ურწყავს ზოგი მცენარე,  
ზოგაც დუნაის, ან პიდააპესს, ძვირფასი თვლებით  
მიდიარს, თბილ ტალოებს რომ ახეთქებს გამოქმურალ  
მინას,

ბეტისს, სახელი რომ უბოძა საკუთარ მხარეს  
და ზვირთნი მდორედ შესპერიის ზღვისკენ მიმართა,  
დანა შეიგრძნო ზოგმა მაშინ, როცა ფეხუსი  
დღეს ათენებდა, ზოგმა კიდევ – შუალამიააა,  
ზოგიც ფრწხილებითა მოიგლიჯა შელოცვის  
ფონზე,

730

წყევტს სასოკვედილო ბალახს, გველებს მხამს  
გამოადენს,

და შეუზავებს უწმინდური ფრთოსნებისა შიგანს:  
გულსა საზარელი ზარნაშოაი, და ბუს შიგნეულს,  
ჯერ კიდევ ცოცხალს რომ მოჰქვეთა. ცალ-ცალკე  
ანყობს

შხამებს სიავის დიდოსტატი: ზოგი ჯაიტვეს  
გამთოშავ სუსხს და ზოგიც ცეცხლის მტაცებლურ  
ძალას.

შხამებს დაურთავს სიტყვებს, მათზე არანაკლებად  
სამიშარს. აი, გახმიანდა მისი ნაბიჯიც,  
სამყარო იძვრის, როცა პირველ სიტყვებს  
ნარმოთქვამს.

[შემოდის მედეა, თან შელოცვას ღიღინებს]

**მგდეა:**

- ისმინეთ ჩემი, უბმო კრებულნი, ააპარხის  
 ღმერთებო, 740
- ნისლიან დიტის პირტუშო მხარეე, შავბნელო ქაოსო,  
 და ტარტაროსით გარემოცულო სიკვდილია მღვიმენო!  
 ახალ ქორნილში იჩქარეთ, სულნო, მსჯავრს  
 გარიდებულნო,  
 შესდექ პორბალო, გადმოაბიჯე მინაზე იქსიონ,  
 მოდი, ტანტალოს, პირენულ ნყაროს ენაფე  
 უშიშრად, 745
- თქვენც, ვინც ამაოდ ცდალობთ უფსკერო ქურჭლების  
 აეხებას, 748
- დანაიდებო, დღუს თანაშემწედ მოვუხმოზ თქვენს  
 ხელება. 749
- დე, სასიმაშროს ყველაზე მძიმე სასჯელი  
 დაატყვეს: 746
- თან ჩიიყოლოს სისიფოსი ქვამ, კლდეზე  
 მოსხლეტილმა, 747
- ახლა მოგიხმოზ ღამის მნათობო, ყოველი იერით 750  
 თაჯზარდამცემო, მოირგე სახე ყველაზე სამიში.  
 შენს მოსახზობად, წესისანებრ, თმაჩამოშლილი  
 და უზამური, საიდუმლო ჭალას ვენვიე,  
 ნიაღვარები დავადინე გამომშრალ ღრუბლებს,  
 ზღვა უკუვხვდეთ, ოკეანემ ჩეჰვან ძღეულმა,  
 თავის წიაღში მიაბრუნა ძალუში ტალღა.  
 სამყაროს წესრიგს შევეჭიდე, ცად ერთდროულად  
 გამოეაბრწყინე შზეც, ვარსკვლავიც, და დიდი რვილი  
 მისწვდა ზღვის ტალღებს, შეეცვალათ წელიწადის  
 დროთ
- რიგი, შელოცვით აფაყვავე მინა ზაფხულში, 760

მოვანევინე მოსავალი ზამთარში კერესს,  
ჩქარი დინება სათავისკენ ცვალა ფასისმა,  
ჰისტერმაც, მრავლად განტოტილმა, მლელვარე  
ზვირთნი

დააცხრო, მდორედ დაუბრუნდა თავის კალაპოტს,  
მაშინ მოილო ზათეი ტალღამ, ზღვაც აიქოჩრა,  
როცა სიოც კი არ იძვროდა, შემოეძარცვა  
ჩრდილები ძველ ტყეს, შეეყინა ფეხუსი ზენიტს,  
ჩემი შელოცვით ჰიაღებიც გადაიხარნენ,  
დრო არის, ფეხე, გამოცხადდე შენს რიტუალზე. 770

მიიღე ცხრა გველით შემკული გვირგვინი,  
დანწული სისხლიან ხელით,  
აი, მოშულარი ტიფონის ნანილნიც,  
ზევსს რომ შეურყია ტაბტი.

ეს სასხლი გაიღო ორგულმა მზიდავმა –  
ნესუსმა – სიკვდილის პირას,  
შხამით გაჟღენთილი, ეტას კოცონიდან,  
აი, ჰერკულესის ფერფლიც,

აი, პირნათელი დის, მაგრამ ბოროტი  
მშობელის, ალთეას, ცეცხლი, 780

ეს ბუმბლი დასცვივდა ქვაბულში ჰარპიას,  
როცა გაურბოდა ძეტესს,

აი, ლერწმული ისრით განგმირული  
სტიმფალიდების ფრთებიც...

გუგუნებს სამსხვერპლო და, ვხედავ, ტრიპოდსაც  
მონყალე ღვთაება არყევს.

ტრივიას სხარტ ცხენებს, ვქვრეტ, არა ისეთებს,  
რომელთაც პირსავესე, გაცისკროვნებული  
ლამით დააქროლებს. არამედ ისეთებს,  
რომლებსაც მიმცხრალი, პირქუში იერით 790



შემოკრებს ცის თაღზე თესაღიელებს  
 შელოცვით შეძრული. მიდი, დააფრქვიე  
 მიმქრალი სხივები მინას ეთერიდან,  
 ხალხს ჯერარნახული ელდა მოუელინე,  
 დე, ძვარფას კორინთულ აპოლენძააც, დიქტინავ,  
 შესს დასახმარებლად გაელოს წკრიალი.  
 შენთვის შევასრულებ სადღესასწაულო  
 რიტუალს სამსხვერპლოს სისწლიან ბალახზე,  
 შენ ჯინთებ ღამეულ ცეცხლებს, სამარხიდან  
 მოგვრილი ჩირაღდნით, შელოცვებს წარმოვთევამ  
 ქედის მოდრეკით და თავის გადაქნევით,  
 შენთვის გაშლილ თმაზე მოვივლე საკრავი,  
 ინგვარად, დაკრძალვის წესი რომ მოითხოვს,  
 სტიქსში დანამული ტოტი, ნაღელიანი,  
 შენთვის შევარხიე, მკერდმოშიშვლებული  
 სამსხვერპლო დანითაც ბელებს დავისურავ,  
 ვითარცა მენადე. დაე, საკურთხევლებს  
 ეს სასხლი შეასმეს. შენ, ჩემო მარჯვენავ,  
 ხანჯლის მოღერებას, ძვირფასი სისხლის ღვრას  
 უნდა ძეგჩვიო,

810

*[გადაიხსნის მარჯვან და სამსხვერპლოზე სისხლს  
 დაანვეთებს]*

აი, წმინდა სითხე  
 გავიღე მოწყლულნა,  
 თუ, პერსეს ასულო,  
 ჩემზე შემონყრები, ლოცვებით ხშირ-ხშირად  
 რომ გიხმობ – ძეძინდე, შეხს მშვილდებს ყოველთვის  
 ერთი და იმავე ნიზეზით ნიემართავ:  
 მიზეზი კი არის მარად იასონი.  
 ახლა კი დანამე კრეუსას ღაბადა

ისე, რომ მაშინვე, როგორც კი მოისხამს,  
სახმილმა დაფერფლოს, ძვლამდე გაატანოს.  
ამჟამად იმალვის ელვარე ოქროში

ცეცხლი შენიღბული, რომელიც ზეციდან 820  
მომგვარა პრონეთემ, ვინაც ქურდობისთვის  
ზღო თავის შიგანით, მასწავლა მან, ცეცხლის  
ძალა ვით შევნიღბო. მიძღვნა შულკიბერმაც  
გოგირდით ფარული მსუბუქი ალები,  
შენც, ჩემო მოკეთევ, ფეთონ, წაგგვარე  
ცოცხალი ხანძრიდან მქუხარე ელვები.

ვფლობ ძღვენს, ამოფრქვეულს ქიშერას ტორსიდან,  
ცეცხლს, გამოტაცებულს ხარის დადაგული 830  
ხახიდან, რომელსაც ვუზავებ შედუზას  
ნალგელს და ვუბრძანებ, რომ ეს ბოროტება  
ჩუნად შეინახონ.

შეკატე, სიმწეავე შესძინე სამსალას,  
შენვე დაიცავი ცეცხლის ჩანასახი,  
ძღვენში დაფარული. დაე, გააცუროს  
თვალის და ხელებიც, ოღონდ კი გულ-მკერდი,  
ძარღვები დამდულროს, რბილობი დააღლოს  
და ძვლები დაფერფლოს. დაე, ავიზვიზდეს  
სარძლოს თმა ქორნილის კვარზე აღმატებით.

აი, ჩემი ლოცვაც ისმინა და სამგზის 840  
ყეფით მიპააუხა შეკატემ და ნშინდა  
ცეცხლი მოუღლინა პრიალა ჩირაღდანს.

[*ძიძას*]:  
რაც კი ძალმიძდა, აღვასრულე. უხზე ჩემს ვაფებს,  
გადავცეთ სარძლოს მათი ხელით ძვირფასი ძღვენი.

[*ძიძას შემოჰყავს ვაფები*]:  
ხადით, შვილებო, უბედური დედის ნაშობნო,

ნადრო, აამეთ თქვენს ქალბატონს, სადედინაცვლოს,  
ზვენა-მუდარით, საჩუქრებით, მაგრამ შინ მალე  
დაბრუნდით, რათა მოგეხეოთ უკანასკნელად.

**ქორო:**

საით მიაფრენს სისხლიან  
მუნადეს დაუდგრონელი 850  
უნება? ანდა რა სიაცეს  
ამზადებს მომეტებული  
გზნებით? მას გაკერპებული  
საჩუქარიონთო რისხვით.  
თავია შედიდური ქნევით  
მუქარას უგზავნის მეფეს.  
ნეტაჲი რა უგავს დევნილს?  
სინითლე დაშკრავს დასცესზე,  
ხანაც ფერფური მისდის –  
ნონაცვლე უერთავან არცერთს 860  
არ ამჩნევს საბეზე დიდხანს.  
ანყდება აქესა და იქით,  
ვით მოშორებული ბოკვერს  
ძუ ვეფხვი, მძვინვარე სრბოლით  
როდესაც განგის ტყეს ურბენს.  
არ ძალუძს მოთოვვა რისხვის  
არც სიყვარულისა. ახლა  
ერთუროს: გადაეწნა ტრფობის  
და რისხვის საგანი. ნეტაჲ  
რა გველის, ან როდის ნაჯა 870  
და დასთმობს კელასტურ მხარეა?  
შიშს როდის გამეიაროდებს  
ჩვენს სამეფოსა და მეფეს?

ფებუს, ააჩქარე ეტლი,  
ნულა შეაკავებ ლაგამს.  
დაე, მწყალობელმა ღანემ,  
ვესპერმაც, ნინმძლოლმა ღამის,  
ჩაძიროს საზარი ეს დღე,  
*[შემოდის მაცნე]*

**მაცნე:**

ჩახდა ყოველი. მოეცალა სამეფოს ბურჯი,  
მამაც, ასულიც ძირს არეულ ფერფლად ქცეულან. 880

**ქორო:**

რა მზაკვრობამ ჰყო?

**მაცნე:**

მან, რაც ხშირად ღუპავს შეფეებს – ძღვენმა.

**ქორო:**

ნეტავ რა ცბაერებას მალავდა იგი?

**მაცნე:**

თავადაც მიკვირს. ძლივს ვიჯერებ ამგვარ სიბევს,  
თუმც უკვე მომხდარს. აქვს საზღვარი ამ უბედობას?  
ხანძარიც, თითქოს უბრძანესო, მოელა სასხახლეში  
მოედო ყველა კუთავს, უკვე დაქცეულია  
სასახლე. ქალაქს ელის საფრთხე.

**ქორო:**

ცეცხლს აქრობს წყალი.

## მაცნე:

უბედურებას ემატება ეს სასწაულიც:  
წყალი ცეცხლს კვებავს და ნით უფრო ღვივის ხანძარი  
წყალი რაც მეტად ეღობება. ის ველარ გვიცავს. 890

## ძიძა [მედეას]:

ნადი, სანრაჟოდ გაეცალე პელოპის მინას,  
მედეა, სხვაგან მოიძიე თავშესაფარი.

## მედეა [გამოდის სახლიდან:

გავიქცე, არა? შორს რომც ვიყო, ამის სამზერად  
მოვბრუნდებოდი. აი, ვუმზერ ამ ახალ ქორწილს.  
[წაძირული საკუთარ ფიქრებში]

რად ფრთხილობ, სულთ? შვების მომგვრელ სწრაფვას  
მისადიე,

მეტად მცირეა შურისგება, ახლა რომ გალხენს.

ის დღემდე გიყვარს და უცოლო რომ არის ისევ  
არ კმარა, მზაგო? უკვე დროა გამოუშვებო  
ჯერ არსახული სასჯელი, მზად იყო თავადაც. 900

წმინდა კანონი დაივინყე, დაგმე სინდისიც,  
უმანკო ხელში თვით სახრეც კი უსუსურია.

მინებდი რისხვას, ძალას მოგცემს დაძაბუნებულს  
ძველად ნაცადი გააფთრება, წამონთებული

გულის სიღრმიდან. ყოველივე ქმნილი ამ დრომდე  
დე შეირაცხოს მონყალებაჲ! საქმით დანტკიცდეს

რა უმნიშვნელია და ეველასთვის ხელმისაწვდომი  
ყოფილა ის, რაც ჩაეიდინე, მხოლოდ და მხოლოდ

რისხვა გავნაფე. დიდ სიავეს ვით გაბედავდა  
უცადი ხელი? რა შეეძლო ქალწულის რისხვას?

მედეად ვიქცე! გასაჭირმა დამახლოვნა. 910

ვხარობ, ვხარობ, რომ ჩემს ამას თავი გავაგდებანე,

დე ასო-ასოდ რომ ავჩებე, მიხარის მამას  
 დაცული განძი რომ მოვტაცე, საკუთარ ასულთ  
 დავალუბვინე პელიასი. ახალ სამიზნეს  
 სდიე, ტკივილო, ხელს მზაკვრობით განაფულს ენდე.  
 საით უმიზნებ, ჩემო რისხევე, ან ფიცის გამტეხ  
 მოძულეს, ნეტავ მოუღერებ რომელ იარაღს?  
 იშვა საზარი განაჩენი გულის სიღრმეში  
 საკუთარ თავსაც რომ ვერ ვუმხელ. ვიჩქარე მეტად!  
 ნეტავი, შვილი ვაეჩინა თავის სატრფოვან, 920  
 თუმცა ვინც ვშობე, კრეუსასთვის გამიჩენია!  
 უკვე გადაწყდა შურისგების ეს გზა, გადაწყდა  
 სამარლიიანად. მზაკვრობისთვის უკანასკნელად  
 უნდა ემზადოს ჩემი სული. ოდესღაც ჩემო  
 შვილებო, მამის შეცოდების გამო ისჯებით.  
 გულს ელდა ეცა, დაუარა სხეულს სიცივემ,  
 რისხევათაც უკან დაიხია, ისევ დაბრუნდა  
 დედა, მან ცოლი გააძევა. ნუთუ შევიძლებ  
 ჩემი შვილების, საკუთარი ნაცოდის სისხლი  
 რომ დავანთხო? შორს სიშნაგვე გონის ამრევო! 930  
 დამეხსენ, ცოდვავ, ავბედიით, გაუგონარო,  
 იმ უბედურთა სისხლი რა ბრალს გამოისყიდის?  
 ცოდვა აქეთ ერთი - იასონი მათი მამაა,  
 მედეა - დედა - კიდევ უფრო ნძიმე ცოდვაა.  
 დე, დაიღუპონ, რადგან უკვე არ შეკუთვნიან.  
 მათ, უცოდველებს, ვალიარებ, არ უძღვით ბრალი,  
 ვით ჩემს ძმას ერთ დროს, ჩემო სულეო, რატომ  
 ყოყმანობ?  
 ლოყებს რად აღტობს ცრემლი, გულში რად  
 მონაცველებს  
 ტრფობა და რისხვა, აქეთ-იქით მანარცხებს ტალღა,

როგორც ქარები, ერთმანეთს რომ ეცვეთებიან 940  
ორი შოქიშპე ნაკადი რომ ზღვას მიანყდუბა  
და ატაფებულ წყალს აღელვება, ასე ბობოქრობა  
გულაც. აქ რისხვა, სიყვარული ეზრძვიან ერთფრის,  
დათმე, დანებდი, დამორჩილდი რისხვაე სიყვარულს!  
აქეთ, ძვირფასო წვილნო, მხოლოდ თქვენ ანუგეშებთ  
დაქცეულ კერას, მოშეკარით თქვენი სხეულით  
მამას უვნებლად გადაურჩით, ნეტავი ასე  
საკუთარ დედას გადაურჩეთ. მიმძიმს განდევნა,  
აი, ახლა მათ გამომგლეჯენ, არ დამაცდიან  
ცრემლის ღვრას, ოხვრას, ჩაკონებას. დე,

დაეკარგონ 950

ააეიანთ მამაა, როგორც ახლა მათ კარგაეა დედა.  
იმატებს ჩემი მწუხარება და დვივის რისხვა,  
ჩემს ხელს ნარმართავს ერინია ისე, ვით ძველად.  
ნაშიძებ, რისხვაე! ნეტავ, ამაყ ნიობეს ავრად  
მრავალნი მეწვა, ორგჩის შვიდ ვაჟს ვიგოლიებდი,  
ზერნი გამოვდექ შურისცემის აღსასრულელებლად –  
მამის და ძმის ნილ ორი ვაჟიც საკმარისია.

ბაით ნილტვის ფურიათა მძვინვარე ხროვა?

ვის ემზურება, ცეცხლის ალით ვის ეჩემება?

ეს ქვესკნელია ბრბო სისხლიანი იერით თავზარს 960

ვის დასჯემს? აი, ბაზრესავით გადაგრეხილი

უზარმაზარი გველი აპობს სისინით შაერს,

ნეტავ ვის ეძებს სასიკვდილო კვარით მეგერა?

ვის აჩრდილს ვხედავ? ჩემი ძმია, ითხოვს საზღაურს.

სრულად შიილებს. სახე მზერით ამომიშანთეთ,

დანვით, დაფლითეთ, გულ-მკერდს ვუშვერ სასტიკ

ფურიებს.

ძმარ, დამეხსენ, მოუნდადე შურისძიების

ქაღალმეროვებს, მარცხს, დაუბრუნდნენ ქვესკნელია  
წიაღს.

ძმავო, მომენდე და მარჯვენა მახვილის მჭერი  
გამოიყენე,

*[კლავს პირველ შვილს]*

დაეაზმებთ ამ მსხვერპლით მანებს.

970

რას შოასწავებს ეს ხმაური მოულოდნელი?

შეიარაღდნენ, მოსაკლბად მუშურებიან.

ავალ სასახლის სააურავზე, სისხლისღვრა უკვე  
დანყებულისა.

*[ცოცხლად დარჩენილ ვაჟიშვილს]*

შენ კი ჩემთან ერთად წამოხვალ.

*[მოკლულ ვაჟიშვილს]*

თან გავიყოლებ შენს სხეულსაც. თამამად, სულთ;

ამ ქველმა საქმემ შეუმჩნელად არ ჩაიაროს.

დაატკბე ხალხი შენი ბელის წამოქმედართ.

*[შემოდის იასონი, მისი ძაბილის კვალდაკვალ –  
შეიარაღებულ კორინთელთა რაზმი]*

**იასონი:**

ვინც კი ერთგულად თანაუგრძობთ მეფის ვასაჭირა,

შემოკრბით, რათა თავად ავი საქმის მოქმედი

შევიპყროთ. აქეთ! მამაცებო, შეიარაღდით,

980

მოშალეთ მისი საცხოვრისი ძირისძირამდე.

**მედეა**

*[გადმოდგება სახურავზე]*

აი, ძმავა და მამის სკიპტრა ისევ ჩემია!

კოღებებს აღაფად ვვლან უპყროთ ოქროს საწმისი.

აღდგა სამეფო, ნართმეული ქალიშვილობაც.

ველავ მწყალობელთა ღვთაებებო, საზვიამო დღევ,



ქორწინებია დღევ, დაგვირგვინდა დანაშაული,  
შუთისძიება ჯერაც არა – უნდა აღსრულდეს,  
რატომ აყოვნებ სულს? ძაღვია, რაღად ყოყნანობ?  
რიახვა განუღდა, ჩადენილის გამო მრცხვენია.  
რა გავაკეთე უბედურმა! უბედურმაო? 990  
რაც მოხდა, მოხდა, თუმც კი შაინც ვნანობ ჩადენილს.  
ანაზღად ჩემში სიხარულის ვანცდა იმატება!  
იგი ნჭირდება ნაფურებად, რომ აღვასრულო,  
ფუჭად ჩაივლის ყოველივე, თუ შახ ვერ ჩაბა.

### იასონი

*შემარწვეს შედეას:*

აი, ზემოდან გადმოაშურებს დამრეც ქონგურებს,  
ვინმემ მომგვარეთ ცეცხლი, რათი მისსაყუ აღმა  
ფერფლად აცციოს!

### შედეა:

მოენზადე დაკრძალვისათვის,  
იასონ, შეიღებს აღუმაროე სამარის ბორცვი.  
ნესი აფუგე საკადრისად შენს ცოლს და სიამარს –  
დაგასამარე. ერთ ვაჟს უკვე ერგო ეს ხვედრი, 1000  
ხოლო მეორეს აღსასრული შენს თვალნი ელის.

### იასონი

გაფიცვებ ყველა ღვთაებას და ჩვეხს საქორწინო  
ზირადდანს, ჩემგან უღალატოს, ერთად გაქცევას,  
დაინდე შეილი, მე მიმიძღვის დანაშაული,  
მე მომაკედინე, ჩემ ბრალეულ თავს ანდვევინე.

### შედეა:

ყველაზე მეტად ხადაც ვტყავა, მახვილს იქ ჩაგცემ!  
ნადი, ჩვიადო, სხვა ქალწულოან ქორწილს ესწრაფე.

შენს ვაჟთა დედა ზიატოვე!

**იასონი:**

ერთის სიკვდილიც  
კმარის სასჯელად,

**მედეა:**

ერთის სიკვდილს რომ სჯერდებოდეს  
ჩემი ხელეზი, მათ საერთოდ არ აღეშართავდი. 1010  
ჩემი ტკივილის ჩასაცხრობად მეტად მცირეა  
ორის სიკვდილიც, მუცლით ნაყოფს რომ ვატარებდე,  
მასაც მახვილით მივაგნებდი, ამოუძირკვავდი.

**იასონი:**

დაავიერგვინე, რაც დაიწყე, ამის შეტს არ ვთხოვ  
ოღონდ ჩემს ტანჯვას მეტად ნულა გაახანგრძლივე.

**მედეა:**

ნუ აჩქარდები, ტანჯვაე, დატკბი შურისძიებით,  
ეს დღე ჩემია, ნაბოძებ დროს ვიყენებ ახლა.

**იასონი:**

მომკალე, უტულოვ!

**მედეა:**

მევედრები, რომ შეგიჩყალო!

*[კლავს მეორე შვილს]*

უაჲე აღსარულდა. ბრწყინვალეა! ჩემო ტკივილო,  
მეტს ველარაფერს შეგთავაზებ, აქვთ მოძამყარ 1020  
თვალნი, იასონ, უმადურო, ცნობ შენს მეუღლეს?  
ასე შრევეია ლტოლვა, ცაში გზა გახსნილია,  
წყვილ ქვეწარმავალს ქერცლიანი ქედი უღლასთვის  
გამოუნვლიათ. გაიყოლე, მამაც, შვილები.

[გადაუგაღებს იასონს შვილების გვამებს]  
მე კი ზაღრში ავიჭრები ფრთოსანი ეტლით.  
*[მიფრინავს]*

**იასონი**

*[შიაძაბებს]:*

გასნი, გაკვეთე უსასრულო ეთერის სივრცე  
და დაამტკიცე, რომ არც ზეცად სუფევენ ღმერთნი.





### კომენტარები

- 1 ქორწინების შემდეგ ღმერთები - შესაძლოა იგულისხმებოდნენ ოუბიტერი (ბერძ. ზევსი) და ოუნო (ბერძ. ჰერა), ძველი ბერძნები ზევსსა და მის მეუღლეს, ჰერას, როგორც ქორწინებრს დამცველ ღვთაებებს, მიმართავდნენ, ხოლო პლუტარქოსის მიხედვით, ისინი ქორწინების მფარველი მთავარი რომაული ღვთაებები არიან.
- 1 ლუკინა - ქორწინებისა და მშობიარობის ქალღმერთი ძვ რომში, რომელიც ბერძნულ ილითიასთან იყო გაიგივებული.
- 2-3 მინერვა (ბერძ. ათენა) მონაწილეობდა ხომალდ „არგოს“ წმენებლობაში, მანვე შეასწავლა „არგოს“ ლეკენდარულ მესაჭეს, ტიფისს, ზღვაოსნობის ხელოვნება. ანტიკურ სამყაროში „არგო“ აღიარებული იყო პირველ ხომალდად, რომელმაც მორეულ ზღვებში შესცურა. სენეკა მას უწოდებს *ratia nota*-ს ანუ ახალ ხომალდს (ხომალდს, რომელიც იმ დროისათვის სიახლეს წარმოადგენდა).
- 5 ტიტანი - პელიოსი, მზის ღმერთი.

- 6 ჰეკატე - ტიტან პერსესა და ასტერიას ასული, ჯადოქრობის, ნადირობის, გზაშესაყართა სამსახურები ქალღმერთი. მინაზე იგი გაიგივებული იყო ქალღმერთ დიანასთან, ხოლო ზევამი - მსკერესთან. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჰეკატესთან ასოცირებულ მაგიურ რიტუალებში. ჰეკატეს კულტის მსახური იყო თავად მდედა.
- 8 შესაძლოა, სენეკას მადეველობაში მქონდეს ორი პასაჟი ოვიდიუსთან (*Met.* 7, 94; *Her.* 12, 77-80), რომლებშიც ისინი მდედას ეფიცება მზე-მელოოსსა და მთვარე-ჰეკატეს.
- 9 ვის წინაშეც უწინარეს მმართებს ვედრება - ხაზი ესწება იმას, რომ მდედა ჯადოქარია და, პირველ რიგში, ჯადოსნობის შემდეგ ღვთაებებს უნდა ნოუხმოს.
- 10 მახები - გარდაცვლილთა სულები.
- 11 მის ცოლს, ზემზე შედნიერს - ორიგინალში: მოტაცებული უკეთესი ბედით. (ანუ, მართალია, სულთა სანეფოს მპრძინებელმა პერსეფონე ძალით მოიტაცა, მაგრამ მას მაინც მდედაზე უკეთესი ბედი ერგო - დედოფალი გახდა).
- 14 შურისმგებელი ქალღმერთებო... იგულისხმებიან ფურიები, მიწისა და ღამის ასულები; ალექტო, ნეგერა და ტისიფონე, შურისძიების ქალღმერთები. მათ ხშირად გამოსახავდნენ გველებით თმაში და ჩირაღდნით ხელში.
- 17 მდედა დამნაშავეა საკუთარი ძმია - აფსირტოსის - მკვლელობაში, ამიტომ გამოეცხადნენ მას ქორწილის დროს შურისძიების ქალღმერთები.

- 19-26 მედია იასონს უსურვებს, რომ ხეტიალსა და გაძე-  
ვებაში გაატაროს ცხოვრება.
- 29 შზის ღმერთი ჰელიოსი იყო მედეას მამის, აიეტის,  
მამა.
- 29-31 მედეას სიტყვა მოგვაგონება თიესტესის მითს,  
როცა მზემ მისი საზარელი წვეულება იხილა და  
პირი იბრუნა უკან, აღმოსავლეთისკენ.
- 36 კორინთო მოთავსებულია ორ ზღვას შუა (დღევან-  
დელი კორინთოსა და სარონიკის ყურეებს შო-  
რის), თუ იგი განადგურდება, მის ადგილს ზღვე-  
ბი გადაფარავენ.
- 44 ფასილი – მდინარე კოლხეთში, პონტო – დღევანდელი  
შავი ზღვა. მედეამ თავისი პირველი დანაშაული:  
მამის ღალატი, ძმის მკვლელობა სწორედ ფასი-  
ლისა და პონტოს მიდამოებში ზაიდინა.
- 45 ისთმოსი – სრულტე კორინთოში.
- 60 მებთამტეხელი – ღმერთ იუპიტერის ერთ-ერთი ეპი-  
თეტი.
- 62 შესადლოა, იგულისხმებოდას პაქაი – მშვიდობის  
ქალღმერთი.
- 68 ჰიმენეუსი, ქორწინების მფარველი ღვთაება, რო-  
მელსაც საქორწინო ჩირაღდნით გამოსახავდ-  
ნენ. ხენევა მას ბაკქუსის შვილად მოიხსენიებს  
და მის თვისებად სიმოვრალეს მიიჩნევს.
- 71 იგულისხმება პლანეტა ვენერა, რომელიც განთი-  
ადიას აღიქმებოდა ლუციფერად, შეღამებიას  
– ვესპერად.
- 76 იგულისხმებიან ათენელი ქალწულები.
- 78 ქალაქი სპარტა, რომელსაც გალაგანი არ ერტყა.
- 79 ტაიგეტუსი – მთათა სისტყნა პელოპონესოსში.

- 81 აონიური იგივე ბეოტიური.
- 81 ალფეოსი – პელოპონესოსის უდიდესი მდინარე.
- 83 ესონიელი გმირი – იასონი.
- 84 პერკულესი (ბერძნ. ჰერაკლე), რომლის მამაც იყო  
ჰეკა-ქუზილის ღმერთი – იუპიტერი.
- 86-87 აპოლონი, არტემისის ძმა, რომლის შთაგონებით  
წინასწარმეტყველებდა ტრიპოდზე (სანფხაზე)  
მჯდომარე დელფოს პითია.
- 88 კასტორი – იუპიტერის (ზევისის) ძე, ძმებ დიოსკურ-  
თაგან ერთ-ერთი.
- 89 პოლუქსი – კასტორის ტყუპისცალი ძმა, ცნობილი  
იყო, როგორც წინესული მოკრივე.
- 96 პლეადები – ატლანტის შვიდი ასული, რომლებიც  
შვიდ ვარსკვლავად გარდაიხსნენ.
- 97 ფებე – მთვარე, ფებუსის – შზის და.
- 101 პუნიკური მენაჰული ფერის საღებავი.
- 105 ფასისელი – იგულისხმება მედეა.
- 108 ეოლიელი – ეოლია თესალიის ერთ-ერთი სახელწო-  
დება. ეოლიელია კრეუსა, იასონის მომავალი  
საცოლე.
- 112 ლიეკაი – ღმერთ დიონისეს ერთ-ერთი ზედწოდება.
- 117 ფესცენიური სიმღერები – ხალხური სატირული  
ღეჭა, რომელიც დიალოგის ფორმით სრულდებ-  
ოდა. ფესცენია – ქალაქი ეტრურიაში, საიდანაც  
დასახელებული ლექსი რომში გავრცელდა.
- 125 მედეას მიერ იასონისთვის გაწეული დახმარებე-  
ბი, ცეცხლი მიანიჭნება ცეცხლისმფრქვევე-  
ლი კოლხური ხარების დამორჩილებას, ხოლო

ტალღები მედეას ძმის, აფსირტოსის მკვლელობას.

- 129 ძმა ნაინც ჰყავდეს – მედეას სურს, ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ მოკვლული ძმის, აფსირტოსის, წილ იასონსაც ძმა მოუკლას.
- 137 პედიასი – იოლკოსის მეფე, იასონის ჰინაროინელ-მატ ტახტის მტოტე ძმიშვილი ოქროს საწმისის მოსატანად ცაგზავნა. მედეას ჩაგონებათაგან ერთი საკუთარმა ქალიშვილებმა დაანანევრეს და მოხარშეს, რათა გაეხალგაზრდავებინათ.
- 146 ჩემს ნაბოძებ ძვედნს – იგულისხმება იასონის სიციოცხლე, რომელიც მათ მედეა ნადლობით შეუნარჩუნდა.
- 153 მალეა – ზომალეუბისთვის სახიფათო ყურე სამხრეთ-აღმოსავლეთ პელაპონესოსში.
- 169 ...ვარი აღმოცენდეს თუნდაც მიწიდან – მსგავსად იმისა, როდესაც შეიარაღებული მეთომრები ამოიზარდნენ დრაკონის კბილებიდან, რომლებიც იასონმა კოლხეთში, აიეტის ბრძანებით, დათესა.
- 213 სადაც ჭაობი გაამტკნარებს ზღვის მღაშე ჩვიროებს – კობტოს აღმოსავლეთით ჩაედინება მრავალი მდინარე, რომლებსაც ზღვაში დიდი რაოდენობით ზღაწა ჩაატყა ეს განაპირობებს საწაპიროს ტაობიან ბუნებას. შენაკადები აგრეთვე ზღვას მღაშე წყალსაც ამტკნარებენ.
- 214 თერმოლონტი – მითოური მდინარე ექსენოსის პონტოს (მაგი ზღვა) ჩრდილოეთით.
- 216 შეუფუღლებელ ქალთა რაზმები – იგულისხმებიან ამაზონები, რომელთა ლოკაციაც თერმოლონტის ნაპირებთან მოხაზრება.
- 226-228 იგულისხმებიან არგონავტები.

228 ორფევსი – მითოური თრაკიელი მომღერალი, რომელსაც სომერითა და კათარის პანგეობით შეედრო ზემოქმედება ცხოველებზეც და უალო საგნებზეც.

231 ლიხევესი – არგონავტი, რომელიც უწვეულოდ მახვილი მზერით იყო განთქმული.

233 მინიელი – არგონავტთა დიდი ნაწილი მინიასია ასულთა შთაშობავალია (მინიასი – თესალიელი, რომელმაც ბეოტიამი ორქომენი დააარსა). ამგვარად, მინიები არგონავტების ზოგადი სახელწოდებაა.

240-241 ...შენი სახიფათო დაუზობოდა ცეცხლისმფრქვეველ ზართა წინაშე – ოქროს საწმისის მოსაპოვებლად იასონს აიეტის დავალებათა შესრულება მოუხდა. მათ შორის – ცეცხლისმფრქვეველ ხართა უღელში შეშმა და მათი წმენობით მიწის დამუშავება. იასონმა ამ დავალებას მხოლოდ მედეას დახმარებით გაართვა თავი.

241 ცოდვა – იგულისხმება იასონი.

257 აკასტუსი – პედიასის ძე, რომელიც მამის მკვლელობის შემდეგ იასონსა და მედეას დევნიდა.

274 კარზე მომდგარ ომს თუკი უფრობი – იგულისხმება მოსალოდნელი კოფლიქტი აკასტუსთან, რომელსაც მამის გამო შურისძიება სწყუროდა.

277 ქურდობა – იგულისხმება ოქროს საწმისის ვაჭაყება.

311 ჰიადები – ატლანტის ასულეა, რომლებიც ამის, ჰიასის, მკვლელობის გამო დარდისაგან გარდაიცვალნენ და რომლებიც გარდაისახნენ ვარაუდლებად კუროს თანავარსკვლავედად. ჰიადე-

ბის გამოჩენა ძველ საბერძნეთში ენთავგეოდა წვიმის სეზონის დასაწყისა.

313 ამაღთება. რომელიც ოუპიტერს (ზევსს) ვეცხავდა და რომელიც მოგვიანებით თანავარსკვლავედად იქცა. ისიც წვიმის ყრის-ერთი მსუნიყბელია.

314 დიდი რვილი - დიდი დათვის თანავარსკვლავედი.

315 ბოოტესი -- იგივე მენაზარს თანავარსკვლავედი.

316 ბორეასი - ჩრდილოეთის ქარი.

316 ზეფეროსი - დასავლეთის ქარი.

320-328 აღწერილია ზღვაოსნობისთვის აუცილებელი ოთხი პირობა. პირველი ორი უტება ქარის მიმართულებას, დანარჩენი ორი - სიმძლავრეს.

336 ფიჭვი თესალიური - იგულისხმება ხომალდი „არგო“, რომელიც დამზადებული იყო პელიონის (თესალია) ფიჭვებისგან.

342 ორი კლდე - მითიური სიმშლეგადები, მოძრავი კლდეები, რომლებიც პერიოდულად ერთმანეთს ეჯახებოდნენ და დიდ საფრთხეს უქმნიდნენ მოგზაურებს.

350 პელიორის კონცხი - კონცხი სიცილიაში, მესინის სრუტესთან.

350 სკილას - მითიური ზღვის ურჩხული თორმეტი ცეხითა და ექვსი ძაღლის თაფით. სკილას ადგილსამყოფელად მესინის სრუტის ატალიური ნაწილი მოიპარებოდა.

357 ავსონია - იტალიის პოეტური სახელწოდება.

358 პეკროუსი - პიერის (ტერიტორია ოლიმპოდან ჩრდილოეთით) მუზეის სამშობლოდ მიიჩნევიან.

361 სარინოზები - მითიური არსებები, ნახევრად ფრინველები, ნახევრად - ქალები, რომლებიც

მეზღეაურებს თავიანთი სიმღერით იზიდავდნენ და ზემდეგ ღუპავდნენ. ამ ურჩხულთაგან არგონავტები იხსნა ორფევსმა, რომელმაც თავისი ლირით თავად სარინოზებიც მოაჯადოვა.

374 არაქსი - მდინარე სომხეთის ტერიტორიაზე.

375 ალბისი - ელბას ძველი სახელწოდება

378 ტეთისი - ოკეანოსის მეუღლე, ურანოსის და გეას ასული.

379 თულე - იმდროინდელი სამყაროს უკიდურესი დასახლებული ტერიტორია, შესაძლოა, ისლანდია ან სკანდინავიის ჩრდილოეთი ნაწილი.

382 მენადე - მენადები, ბაკქი ქალები, ღმერთ დიონისეს თანმზღებნი, მისი ამალის წევრები.

383 ნისა - ქალაქი და მთათა სისტემა ინდოეთში. ეთიოპიაში ან თრაკიაში, სადაც ნიშნები ზრდიდნენ ბაკქუსს, (დიონისეს).

383 პინდუსი - ჩრდილოეთ საბერძნეთში არსებული მთის მასივი, სადაც დიონისური მისტერიები იმართებოდა.

397-398 როგორი უსაზღვროცაა მედეას სიყვარული, რისხვაც ისეთივე უსაზღვრო უნდა გახდეს.

404 - დიდი დათვის თანავარსკვლავედი არასოდეს ჩადის ჰორიზონტზე, არასოდეს ჩაქაყენება ზღვის ტალღებში.

407 ქარიბდა - მითიური ზღვის ურჩხული, რომელიც სკილას მოპირდაპირედ, მესინის სრუტეში, ბინადრობდა. იგი დღეში სამჯერ შთანთქავდა ზღვის წყალს და კვლავ უკან გადმოაქციევდა.

408 ეტნა - ვულკანი აღმოსავლეთ სიცილიაში. მითის მიხედვით, ამ მთის ქვეშ ოუპიტერის მტერი -

ციცხლისმფრქვეველი ტიფონია გამოჩნვედუ-  
ლი. მართალია, ტიფონი არაა ტიტანი, მაგრამ  
მედეა ამ სახელწოდებით მოიხსენიებს. „ტიტა-  
ნი“ აქ ღმერთების მტრის საერთო სახელწოდე-  
ბადაა მოაზრებული.

- 412 კორუაი – ცივა და მშრალი ჩრდილო-დასავლეთის  
ქარი.
- 415 თესალიელი მეფე – იგულისხმება პელიასის ძე  
აკასტუსი.
- 457 ტენპე – ხეობა ოსასა და ოლიმპოს მთებს შორის,  
აღმოსავლეთ თესალიაში.
- 471 ოქროს სანძისი ვერძისა, რომლითაც კოლხეთში  
ნოფრინდა დედონაცვლისგან დევნილი ბერძენი  
უფლისწული, ფრიქსოსი.
- 474-475 მედეამ არა მხოლოდ მოკლა თავისი ძმა, არა-  
მედ ნაკუნ-ნაკუნ აჩეხა, თითოეულ ნაკუნს იგი  
ცალკეულ დანაშაულად აღიქვამს.
- 475 იგულისხმებიან პელიასის ასულები.
- 486 მათითება ოქროს სანძისზე.
- 583 ავსტერი – სამხრეთის ქარი.
- 584 პისტერი – მდინარე დუნაი.
- 587 როდანუსი – მდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთ გა-  
ლიაში, დღევანდელი რონა.
- 590 ჰემუსი – მთა თრაკიაში.
- 596...*ტინც ზღვები დაიმორჩილა* – იგულისხმება იასონი,  
რომელმაც, არგონავტთა პირველ ფართომასშ-  
ტაბიან საზღვაო ექსპედიციას უხელმძღვანელა.
- 597 მეორე სამეფო – ზღვის საბრძანისი, რომელსაც  
ნებტუნს განკარგავს, (ცის სამეფოს მართავს იუ-  
პიტერი, ხოლო ქვესკნელს – პლუტონი).

599 იგულისხმება ფაეტონი, მზის ღმერთის ძე, რო-  
მელმაც ნამას მისი უტლი ერთი დღით სთხოვა  
სამართაყად, თუმცა ცხენები ვერ დაიმორჩილა  
და გამოიწვია მსოფლიო ხანძარი, რომლის დრო-  
საც თავადაც დაიღუპა იუპიტერის ბელით განგ-  
მირზღი.

- 617 *პირველს მიეზღო ტიფონს*. – არგონავტების ლე-  
გენდარული მესაჯე, ტიფონი, დაიღუპა მანამ, სა-  
ნამ არგონავტები კილხეთში ჩაადნეკდნენ.
- 618 *გამოუცდელ მესაჯეს* – იგულისხმება ანკეუსი.
- 622 ავლისი ნავსადგური საბერძნეთში. ამ ნავსად-  
გურიდან გაემართნენ ბერძნები ტროას დასა-  
ლაშქრად – მხოლოდ მას შენდევს, რაც მსბერ-  
პლად შესწირეს აგამემნონის ქალიშვილი იფი-  
გენია.
- 625 იგულისხმება ორფეესი, მუზა კალიოპეს ძე (ძე,  
რამში მუშეებს ხმარად კამეზებად წიობსენიებ-  
დნენ)
- 631 ჰებრუსი – წთავარი მდინარე თრაკიაში (თანამე-  
დროვე მარცა). მათის მახედვით, ორფეესი ბა-  
კემა ქალებმა თრაკიის ველზე, ჰებრუსის ნაპი-  
რას დაგლიჯეს და მისი თავი მდინარე ჰებრუსს  
გაატარეს.
- 632 ორფეესი ერთხელ უკვე აკო ჩასული ქვესკნელის  
სამეფოში თავისი დაღუპული მეუღლის, ევრი-  
დიკეს, დასაბრუნებლად.
- 434 ქმები ზორეადები, ზორეასის (ლათ. აკვილოს) ძეე-  
ბი, რომლებიც შერკუტელსმა დახოცა.
- 635 იგულისხმება პერიკლიმენი, რომელმაც ნებტუნმა  
გარდასახვის ნიჭი უბოძა, იგი მოკლა შერკუ-  
ტელსმა პილოსის დანგრევის დროს.



- 647 ბილასი, შერკულესის მეგობარი, რომელიც მისი სილამაზით მოხიბლულმა წყლს; ნიშნებმა მოიტაცეს.
- 652 იდმონი. აპოლონის ნათელმზილუელი ძე, რომელმაც საკუთარი სიკვდილის შესახებ წინასწარ იცოდა.
- 657 პელეუსი, ეაკოსის ძე, რომელმაც საკუთარი ძმა მოკლა, რის გამოც მამამ ეგინადან გააძევა.
- 659 ნავბლოუსი, ნებტუნის ძე, რომელმაც საკუთარი კაჟის მკვლელობის გამო შურის საძიებლად შინ მიმავალ ბერძნულ ფლოტს არასწორი სასიგნალო კოცონები დაუწოო ევბეურ ვათარეაში.
- 669 იფულისხმება იასონი, რომელიც პელიასის ბრძანებით მკვლევებდა.
- 680 ბოროტი სულებისადმი მიმართვის ნიშანი (პირცხენა ხელი არასასიკეთოდ მოიჩნეოდა).
- 682 ტავროსი – მთის მასივი მცირე აზიაში.
- 694 – 696 იფულისხმება დრაკონის თანავარსკვლავედი, რომელიც კლავნილად მოაჩანს დიდ და მცირე დათვის; თანავარსკვლავედებს შორის.
- 697 დიდი დათვის თანავარსკვლავედს საორიენტაციოდ იყენებდნენ ბერძნები. ხილო მცირეს – ფინიკიელები (სიდონი – ქალაქია ფინიკიაში).
- 698 გველმჭერი – ჩრდილოეთის თანავარსკვლავედი, რომელსაც უკავშირებდნენ ესკულაპს (ბერძნ. ასკლეპიოსს), ნას ხშირად გამოხატავდნენ გველით ხელში.
- 699 პითონი – ტყუბი ღვთაებების აპოლონისა და არტემისის მტერი გველი, რომელიც აპოლონმა

ვანგებინა. იგივე ჩრდილოეთ დრაკონის თანავარსკვლავედი.

- 703 შიდრა – თანავარსკვლავედი სამარეთის ცაზე. ასოკორდებოდა შერკულესის მიერ მოკლულ ლერნეს შიდრასთან.
- 704 ...შარად მღვიბარო გველმჭერი... – კოლხეთში იქროს სანძისის მოდარაფე გველმჭერი, რომელიც არასდროს თვლენდა. იგი შედეგად დააძინა შელოცვით, როცა იასონს იქროს სანძისის მოტაცებაში დაეხმარა.
- 707 ერეესი – მთა სიცილიაში. სახელწოდება მიიღო შერკულესის მიერ მოკლული გმირის საპატივცემულოდ. აქვე მდებარეობდა ვენერას ტაძარი და, გადმოცემით, აქ ვენერას მოწაჯადოებელი ბალახეულობაც მოიპოვებოდა.
- 711 მართია – ქვეყანა მცირე აზიაში.
- 713 შირენია – ტყიანი მთის მასივი გერმანიაში, სადაც სვებთა ტომები საბლიბდნენ.
- 744 იქსიონი – თესალიაში მცხოვრები მითურე ტომის, ლაპითების, მფეე; იმის გამო, რომ იუნონას (ბერძნ. ჰერა) შეცდერა ჰოინადინა, იუპიტერმა სასჯელად მუდმივად მბრუნავ ბორბალზე მოაჯაჭვა.
- 745 პირენული – პირენა ენობდა წყაროს კორინთულ აკროპოლისში. მითის ნიხეჯეთ. იგი პარმომნილია პეგასის ჩლიქის დარტყმით და მიძღენილია მუზებისადმი.
- 749 დახიდელები – ეგვიპტის მფის. დანაუხის 50 ასული. რომლებმაც ერთი დის, შიპერმესტრას, გამოკლებით, მამის მითათების მიხედვით, თავიანთი მფულდევები ქორწინების პირველსავე დამეს

ამოხოცეს. ანის შედეგად, დაშნაშავე 49 დას მიე-  
საჯათ უძირო ქვევრების წყლით ავსება ქვესკ-  
ნელის სამეფოში.

747...კლდით მოსხლეტილი სისიფოსის ქვა... – კორინ-  
თოს მეფე სისიფოსი, სიკვდილის ვაცურების  
მცდელობისთვის იძულებულია, მინისქვეშეთში  
მუდმივად ზიდოს მძაძე ქვა მთაზე, როცა ქვა  
მთის მწვერვალს მიაღწევს, უკანვე გორდება და  
სისიფოსს იძულებულს ხდის, ყველაფერი თა-  
ვიდან დაიწყო. სისიფოსი ჩამოთვლილთაგან  
ერთადერთია, ვინაც მცდეა სასჯელს არ უმსუ-  
ბუქებს, არამედ, როგორც კრეონის წინაპარს,  
უფრო მძიმე სასჯელს უსურვებს.

750-751 იგულისხმება სამსახა ქალღმერთი: ჰეკატე, რო-  
მელიც მთვარესთანაა გაიგივებული.

753-759 ...დიდი რვილი მისწვდა ზღვის ტალღებს ... –  
აღნიშნული თანაეარსკვლავედი ზღვაში არა-  
სოდეს ჩაესვენება. იხ 404.

751 კერესი – ნაყოფიერებისა და მანათობქმედების  
ქალღმერთი (პერძხ. დემეტრა).

772 ტიფონი – გეასა და ტარტაროსის ვაჟი, ასთავიანი  
ურშხელი, რომელიც ოუპიტრა (ზევსს) ეომე-  
ბოდა, მაგრამ დამარცხდა და ტარტაროსში იქნა  
გამომწყვდეული.

776 ნესუსი – კენტავრი, რომელიც პერკულესმა  
მონამლულიისრით განეწირა, რადგან პერკულე-  
სის ცოლის, დეიანირას, დაუფლება მოინადინა,  
როდესაც იგი მდინარეზე გადაჰყავდა. მომაკე-  
დავმა კენტავრმა, შურისძიების მიზნით, დეიანი-  
რას ურჩია მისი მონამლული სისხლის შეგროვე-

ბა, რაც, თითქოსდა, პერკულესის სიყვარულის  
დაბრუნებაში უნდა დახმარებოდა.

777-778 მეუღლის სიყვარულის შენარჩუნების მიზ-  
ნით, დეიანირა პერკულესს ზუქნის ნესუსის  
მონამლული სისხლით გაუღენთილ ქიტონს,  
რომელიც პერკულესს ჩაცმისთანავე არაადა-  
მიანურ ტკივილს აყენებს. ტანჯვისგან თავის  
დასაღწევად პერკულესი ეტას მთაზე აჩაღებს  
კოცონს და შიგ ცოცხალი შეაბიჯებს. მაგრამ  
იუპიტერი არ გასწირავს საკუთარ ძეს და მას  
ოლიმპოზე აიტაცებს.

781 ჰარპიები – ფრთოსანი ურჩხულები, რომლებიც  
განდენა არგონავტმა ძეტებსმა, რადგან ბრმა  
მეფე ფინეგს ავიწროვებდნენ

784 სტიმფალიდები – მითიური ფრინველები სპილენ-  
ძის ფრთებით, კლინტებითა და ნისკარტით,  
რომლებიც ბუმბულებს ისრების დარად ისროდ-  
ნენ. პერკულესმა მათი მოკლა ლერნეს პიდრას  
ნაღვლით მონამლული ისრებით შეძლო.

787 ტრივია – ეზავარედიზე მყოფი – ჰეკატეს ერ-  
თერთი ეპითეტი. ქალღმერთ ჰეკატეს თაცვანს  
სცემდნენ ღამით ეზავარედიზე.

791-792 ...თესალიელების შელოცვით შეძრული... – თე-  
სალია ჯადოქრების მხარედ მიიწიეოდა, თესა-  
ლიელ ჯადოქრება თითქოსდა ციდან მთვარის  
მობზობაც შეეძლოთ (მთვარე ანოტირდებოდა  
დეიანა-დიეტინასა და ჰეკატე-ტრივიასთან).

795 კორინთული სპილენძი საუკეთესოდ მიიწიეოდა,  
სპილენძს, ზოგადად, იყენებდნენ ჯადოქრე-  
ბი სწავდასხვა რიტუალური მსვლელობისას.

სპილენძის დაფაფებს სცემდნენ შთვარის დაბ-  
ნელუბის დროსაც.

- 811 პერსეს ასული – ჰეკატე რომლის მამა იყო ტიტანი  
პერსე.
- 813-814 მწვილადი ჰეკატესთან დაკავშირებული მაგიის  
ატრიბუტია.
- 824 მუღკიბერი ("დამდნობი") – ცეცხლისა და სანგე-  
დლო ხელობია ლმერის. ეულკანუსის (ბერძნ.  
ჰეფესტოსი) ეპითეტი.
- 825 .. ჩემო ზოკეთეც ფაეთიან... – ორივე: მედეაც და  
დაეთონიც პელიოაია ზოამომაგლები არიან.
- 828 ტიმერა – ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული თხის ტა-  
ნით, გველის კუდით და ლომის თავით.
- 829-830 იგულისხმება აიეტის ცეცხლისმფრქვეველი  
ხარი.
- 831 მედუზა – ერთერთი გველისთმანი გორგონა,  
რომელიც მზერით აქვავებდა გველას, ეინც მას  
შესყდავდა. მოკლული იქნა პერსეუსის მიერ.
- 841 ... ცეფით მიპასუხა ჰეკატემ... – ძალი ჰეკატეს  
წმინდა ცხოველი იყო და თავად ქალღმერთსაც  
ხშირად ცაღლის სახით გამოხატავდნენ
- 880 ზეჟე კრეონი კრეტუსასთან ერთად დაიყვრფლა,  
როდესაც მეღვას მოწამლული ძღვენიდან  
ასულის გათავისუფლებას ცდილობდა.
- 891 პელოპისის მანა – პელოპონეოსის ნახევარკუნწუ-  
ლი, რომელმაც სახელწოდება თავისი პირველი  
მეფისგან, პელოპისისგან, მიიღო.
- 954 ნიობე – ტანტალოსის ასული, პელოპისის და, შვიდი  
ვაფცა და შვიდი ასულის დედა, რომელსაც ამო-

ლონმა და არტემისმა ყველა შვილი დაუხოცეს  
მისი ამპარტაენების გამო.

- 963 ნეგერა – ერთერთი ფურია, რისხვისა და შურის  
განსაბიერება.
- 1023 მედეა კორინთოს პელიოსის ეტილში მგმჯული  
გველეშაპებოთ ტოვებს.

